# სახალხო განათლება+

„ქვეყნად არცერთი ბრძენი არ იყო, მასწავლებელი რომ არ ჰყოლოდა“.

● №8 (4615) ● 13 დეკემბერი ● 2023 წელი ● ● ● saxgani@gmail.com ● ფასი 2.00 ლარი


# დიდი მადლობა მთავრობას - განათლების სამინისტროს!

თავდავლებით, ენთუზიაზმით ვიღვაწებთ!

# თბილისის 85-ე საჯარო სკოლელები გახარებულები არიან



**არის** ინფრასტრუქტურა გაწყობილი, კომფორტული სკოლის შენობა!

აი, როგორი საჩუქარი მოუმზადა ახალ სასწავლო წელს მთავრობამ და განათლების სამინისტრომ პედაგოგებს, მოსწავლეებს, მათ მშობლებს, მთელი უბნის მოსახლეობას:

სექტემბრის მზიანი დილაა - საზეიმო ქრიამულია.

გახარებულები არიან: სკოლის ღვაწლმოსილი დირექტორი **გელა ჭანტურია,** გამოცდილი, შრომისმოყვარე მოადგილეები: **მზია შერმაზანიშვილი** და **მანანა ხაბეიშვილი,** პირველკლასელები, მშობლები და ყველა, მთავრობის, განათლების სამინისტროს მიმართ მადლიერების გრძნობას გამოხატავენ.

სახელოვანი ისტორია ამშვენებს ამ ყრმათამზრდელ სკოლას, გაისად 60 წლისა გახდება. მიუხედავად სირთულეებისა, გასული სასწავლო წელი რიგიანად, ნაყოფიერად დაამთავრეს. ქვემოთ ამაზე გვექნება საუბარი სკოლიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

## პირობას ვდებთ, მთავრობის დაფასებას ღირსეულად ვუპასუხოთ

**თბილისის** 85-ე სკოლა დაარსდა 1964 წელს. და გაისად იუბილარი ხდება 60 წლისა.

2022 წლის იანვრიდან, 2023 წლის ოქტომბრამდე სკოლას ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია, რომელიც განახორციელა ,,მუნიციპალური განვითარების ფონდმა.

სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა კომპანიამ - ,,ქართული სამუშაო ჯგუფი”.

ჩატარებული სამუშაოებია: სკოლის ტერიტორიის სრული შემოღობვა; შენობის გამაგრებითი სამუშაოები;

ენერგოეფექტური თბოიზოლაციით შენობის აღჭურვა; ორივე გარე სპორტული მოედნის სრული რეაბილიტაცია; შიდა სპორტდარბაზისა და სააქტო დარბაზის სრული რეკონსტრუქცია;

სრულად ადაპტირებულია სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის: პანდუსი; ლიფტი; ადაპტირებული საპირფარეშო.

განათლების სამინისტრომ აღჭურვა სკოლა ახალი ინვენტარით (მერხი, სკამი, სასკოლო დაფა, კარადა);

სკოლა აღიჭურვა ვიდეო-სათვალთვალო კამერებით. დაიფარა ინტერნეტით;

მოეწყო ელექტრონული ბიბლიოთეკა; ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების კაბინეტი; აღიჭურვა ინტერნეტით.

ყოველივე სამუშაოს მოხმარდა 8 (რვა) მილიონი ლარი. უკეთესად კეთილმოწყობილი რა უნდა იყოს?

სკოლაში 53 კლასია, აქედან პირველი კლასების რაოდენობაა 5. კლასის ხელმძღვანელები არიან: **ნინო ქართველიშვილი, თამთა მესხიშვილი, თამარ შიუკაშვილი, ანა თავზარაშვილი, ანა კვინიკაძე.**

სკოლის დირექტორია **გელა ჭანტურია**, მოადგილეები: **მზია შერმაზანაშვილი, მანანა ხაბეიშვილი**, წამყვანი მასწავლებლის სტატუსით.

სკოლაში დღესდღეობით 1 მენტორი გვყავს (**მაია გიორგაძე**), 23 წამყვნი მასწავლებელია.

2022-2023 სასწავლი წლის კურსდამთავრებულებს შორის 17 ოქროს მედლის და 3 ვერცხლის მედლის სტატუსითაა წარდგენილი. საბაზო საფეხურის 14 მოსწავლე კი პრეზიდენტის საჩუქრის კანდიდატია.

2022-2023 სასწავლო წელს დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურებზე განხორციელდა მიზნობრივი გასვლითი ღონისძიებები - 100. პრიორიტეტული თემები: კულტურული მემკვიდრეობა, გარემოს დაცვა, ჟანსაღი ცხოვრება, კონფლიქტების მართვა.

მიზნები: კრიტიკული აზროვნების განვითარება, საკუთარი მოსაზრების დასაბუთება არგუმენტებზე დაყრდნობით; პრობლემის გადაჭრის გზების ძიება და მათგან ეფექტურის შერჩევა; შემოქმედებითი აზროვნება, ორიგინალური იდეების გამოვლენა, ხორცშესხმა და ახლის შექმნა; თანამშრომლობითი უნარების განვითარება; კომუნიკაცია, სხვისი მოსმენის და გაგების უნარის განვითარება განსხვავებულ გარემოში; დროსა და სივრცეში ორიენტირება; დამოუკიდებლად საქმიანობა, აქტივობის დაგეგმვა. მოთხოვნათა გააზრება და შესაბამისი ცოდნის განსაზღვრა; პასუხისმგებლობა, წიგნიერება, ადამიანის უფლებები. ყოველივე ზემოთჩამოთვლილი აშკარად მოწმობს, რომ არც კომფორტული შენობის მიღებამდე ვიყავით გულხელდკრეფილები.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიმართ ჩვენი თხოვნაა:: - **მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის ხელშეწყობა, პედაგოგების საჭიროებაზე მორგებული ტრენინგმოდულების დაგეგმვა და ამ მიზნით სხვადასხვა პროვაიდერი ორგანიზაციების არსებობა. პირობას ვდებთ: სკოლის საიუბილეო 60 წელს ღირსეულად შევხვდებით, 85-ე სკოლელები.**

ჩვენც სულითა და გულით ვუერთდებით ამ სიხარულს. ჩვენც დიდ მადლობას ვუხდით მთავრობას და განათლების მინისტრს გიორგი ამილახვარს განათლების სისტემაზე ასე ზრუნვისათვის.

**გაზეთ „სახალხო განათლება+”-ის რედაქცია.**

ზეიმს პათეტიკა უხდება: „შენ აყვავდი სკოლავ მეტად, მზე შენა და ვარდის ფენა და მადლობა ყველა იმას, ვინც შენობა დაგვიმშვენა!”

**ბორის მიშველაძე,**
საქ. დამს. ჟურნალისტი



მასწავლებლებო, ითანამშრომლეთ ჩვენთან!

## ჩვენი უმორჩილესი თხოვნა

### „რაღაა იგი სინათლე, რასაცა ახლავს ბნელია“

„**ხეკორძულას** წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია?!“

ნებსით თუ უნებლიედ, დაახლოებით ამგვარი რამ მოხდა **თბილისის 106 საჯარო სკოლში:** ინფრასტრუქტურის, მაღალხარისხიანი აღზრდასწავლების ფენიქსებრ ამღორძინებელი, ღვაწლმოსილი დირექტორი **თენგიზ გულორდავა** ავტორიზაციისა და არჩევნების მსხვერპლი გახდა — კონკურსში მონაწილედაც კი არ დაუშვეს სრული გაუგებრობაა!

აქ მოსვლამდე გლდანულას გაპარტახებულ **59-ე სკოლა აღადგინა,** საკუთარი ტრანსპორტით ეზიდებოდა სარემონტო მასალებს... აქ კი: 800-იანი მოსწავლეთა კონტინგენტი 1800-მდე გაზარდა, საავიაციო ქარხნის დასახლებაში **სკოლა სანიმუშო, მოთხოვნადი გახადა, ძლიერი პედკოლექტივი შეკრა**, ახალგაზრდა კადრები აღზარდა. ყველა სიკეთეს ვინ ჩამოთვლის.

და აი, ბედის ირონია?!

**ვთხოვთ, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხელახლა შეისწავლოს არსებული ვითარება და სამართლიანი გადაწყვეტილება მიიღოს.**

გაზეთ „სახალხო განათლება “-ის რედაქცია

მე-14 სკოლა მედგრად დგას

# პრობლემებს უთუოდ გადალახავენ

**ამაზე** დიდი პრობლემა რა უნდა იყოს, როცა სხვა სკოლის შენობაში ხარ შეხიზნული. არასოდეს უშინდებოდნენ დაბრკოლებებს. „მოვა დრო და თავს აიშვებს, იმ ჯაჭვს გაწყვეტს გმირთაგმირი, სიხარულით შეეცვლება ამდენი ხნის გასაჭირი." ამ სიტყვებით მხნეობდნენ. დიახ, ასე იქნება, როცა მთავრობა რეაბილიტირებულ შენობას ჩააბარებს.

ამის რწმენას მაძლევს ძლიერი პედკოლექტივი, გამოცდილი პროფესიონალი დირექტორი **მაკა გიორგაძე**, მისი მოადგილე, ასევე გამოცდილი **მაია ლომიძე**.

კვლავ დაიბრუნებენ ძველ დიდებას. ამისი თავდებია სკოლიდან გამოგზავნილი ინფორმაცია.



XI1 და XI2 კლასი (დამრიგებლები; მანანა უსენაშვილი და ფატიმა შედანია)

პროექტ **„მაქვს უფლება, მაშასადამე ვარ ვალდებულის"** ფარგლებში ვესტუმრეთ საქართველოს უზენაეს სასამართლოს;

მიზანი: სამართლებრივი კულტურის ამაღლება;

მოსწავლეებმა ჩაატარეს იმიტირებული სასამართლო პროცესი.

## დიდი მონდომებით ვიღვაწებთ



დირექტორი - მაკა გიორგაძე

***ფრაგმენტების სახით ამოვკრიფეთ გაკეთებული და გასაკეთებელი საქმეების ჩამონათვალი.***

***

11 კლასის დამრიგებელია **დარეჯან კვიტაშვილი**

სკოლას ჰყავს 6 წამყვანი პედაგოგი: **შორენა სამაკაშვილი,ლელა ზაქარეიშვილი, დარეჯან კობალაძე, იათამზე ქოსაშვილი, ნათია მირუაშვილი, ქრისტინე კამლაძე** და 44 უფროსი პედაგოგი.

გასულ სასწავლო წელს გამოვუშვით 4 ოქროს და 2 ვერცხლის მედალოსანი მოსწავლე; **მარიამ შანიძე** - ოქრო, **მარიამ ჭინჭარაული** - ოქრო, **მაკა ხატიაშვილი** - ოქრო, **ანა სავადიანი** - ოქრო, **სალომე რუხაძე** - ვერცხლი, **ნიკოლოზ წიკლაური** - ვერცხლი.

ძალიან ბევრი სასიკეთო და საინტერესო რეფორმა დაიგეგმა და განხორციელდება 2024 წლიდან. ეს შეეხება,როგორც ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ახალ სტანდარტებსა და პროცედურებს,საჯარო სკოლის ავტორიზაციას,მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულ სწავლა-სწავლების პრინციპებს,შემუშავდება მასწავლებლის პროფესიის რეგულირების ახალი წესი,მათ უწყვეტი პროფესიული განვითარება საჭიროების შესაბამისად,პედაგოგთა ხელფასის ზრდა,გაგრძელდება სასკოლო ინფრასტრუქტურის განვითარება.

ჩვენს სასკოლო საზოგადოებას დიდი მოლოდინი აქვს ახალ თანამედროვე სკოლაში სწრაფი დაბრუნების,თავისი წილი სიტყვის სათქმელად საგანმანათლებლო სისტემაში. თუმცა,პედაგოგები და მთლიანად ადმინისტრაცია-დირექცია ამჯერადაც ფეხს უწყობს სამინისტროს ყველა საინტერესო ინიციატივას სასკოლო ცხოვრების გაუმჯობესების და ღრმა შინაარსის შესაძენად.

ალსანიშნავია მინისტრის გულისხმიერი დამოკიდებულება პედაგოგებისადმი. სამუშაო შეხვედრებისას გამოჩნდა ,რამდენად ღრმად არის ჩართული სასწავლო პროცესის ავ-კარგიანობაში. ძალიან ბევრი სასიკეთო ცვლილების მოლოდინში ვართ და იმედი მაქვს ჩვენი სკოლა იქნება იმ საპილოტე სკოლათა შორის,სადაც პირველად დაიგეგმება და განხორციელდება სიახლეები.

სკოლაში ფუნქციონირებს დებატ კლუბი და სამოქალაქო განათლების კლუბი „თემიდა".



**ნინო ხუჯაძემ, იოსებ გელაძემ** და **გაიოზ ყაჭეიშვილმა** ჩაატარეს შიდასასკოლო შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში.

გამგეობის მიერ ჩატარებულ ტურნირში ბიჭების გუნდმა ფრენბურთში აიღო მე-2 ადგილი და დაჯილდოვდნენ სიგელებითა და ფულადი ჯილდოთი.

საშუალო საფეხურის მოსწავლეები მონაწილობას ღებულობენ სასწავლო ოლიმპიადაში საგნების მიხედვით აგრეთვე აქტიურად ვიღებთ მონაწილეობას კონკურსებში,კინგსი,ევერესტი და ა.შ.

დაწყებით საფეხურზე პედ. ლეილა გოქაძის და ნანა თევზაძის მიერ ჩატარდა მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა „შემოდგომის ფერები".



ხატვის მასტერკლასი – კიკვიძის ბაღში 7/1კლასი (სალომე და ნატა კახოშვილები).

განხორციელდა და აქტიურად იყვნენ ჩართულები მე-9 კლასელები. პროექტში **„სურსათის უვნებლობა"**, გაიარეს შესაბამისი კურსი და აიღეს სერთიფიკატები.



პედაგოგის ეროვნული დღე პირველად აღინიშნა 27 ოქტომბერს და ლია ხუციშვილმა თავის სადამრიგებლო მე-8 კლასში ჩაატარა ღონისძიება.



**მედეა პატარაიასა** და **ნანა თევზაძის** სადამრიგებლო კლასში მოსწავლეებს წარჩინებული სწავლისათვის გადაეცათ ლეპტოპები.

ქართულის კათედრის პედაგოგები არიან: **მზია არსენიშვილი, ლელა ჯანაშია,მედეა პატარაია,ირმა მეხატიშვილი, ლელა გლოველი** და **ხათუნა ებანოიძე** ჩართულები არიან საქართველოს სახელმწიფო ენის მასწავლებელთა ასოციაციის მიერ ჩატარებულ პროექტში - ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და სასკოლო საზოგადოებისათვის ახალი **სერვისების** განვითარება-დანერგვის ხელშეწყობის ფარგლებში აქტიურად ესწრებიან ტრენინგებს.

**მზია არსენიშვილმა** მე-11 კლასში ჩატაარა ღონისძიება - მიღმა სამყაროს,ანუ საიქიოს გახსნა **ნიკოლოზ ბარათაშვილის** შემოქმედებაში.

ეს დაფანტული ფრაგმენტებია, მაგრამ მის უკან დგას დაუღალავი შრომა წარმატების მისაღწევად.

ყველა მიზან-ოცნების აღსრულებას გისურვებთ, მე-14 სკოლელებო!

ბორის მიშველაძე

**რედაქტორის მინაწერი**: ჩვენი მასწავებელთა გაზეთი 95 წლისაა. დიდი მადლობა ჩემს კოლეგა **მაკა გიორგაძეს** თანამშრომლობისათვის, დახმარება-მხარში დგომისათვის.

# თბილისში მყოფი მე-3 სკოლელთა ნოსტალგია

***ოცდაათერთმეტი*** *წელია სევდიანი გავყურებთ ენგურის ბურუსიან ნაპირებს. აი, ხელისგულზე მოჩანს გალის რაიონი და მერე „ზღვა, რომელიც შორია". ფანტაზიებში ვხატავთ წართმეულ საცხოვრისს. აი, სოხუმისკენ ხრიგინ-ხრიგინით მიმავალი ოთხ-ხუთ ვაგონიანი „ელექტრიჩკა". აი, გულრიფშის რაიონი, გაგრამდე მწიფე მანდარინებით მზესავით აბრიალებული ზღვის ნაპირები, სანატორია... ახლაც ჩამესმის ჩურჩულით ნათქვამი:*

* * *

*„სარა-ბარა ბზიაბ ზბოიტ", საუბრები ლორიკ მარშანიასთან... სათაურისთვის მოვიყვანე აფხაზეთის მე-3 საჯარო სკოლა, თორემ ყვლა დევნილი „ხომ ერთ ბედს ქვეშა ვართ". ვისაც იქაურს შევხვდები, ნათესავივით მოვიკითხავ, ზღაპრულ ზღვისპირა კინდღში გაზრდილი.*

*მე-3 სკოლის დირექტორი,* **სვეტლანა რურუაც** *გაგრის ზღვისპირიდანაა, აქაც თბილისის ზღვაზე დაუდევს ბინა მის სკოლას. შეადარეთ ახლა ეს ზღვები ერთმანეთს!*

*„თქვენ, ჰეი, ცაში ბევრს ნუ დაეძებთ, ძირს სიყვარულით დახედეთ მიწას!" - მოგვიწოდებდა ალიო მირცხულავა. ჩვენც სენტიმენტალობიდან რეალობაში დავეშვათ. მინდა სიყვარულით მოგესალმოთ, ძვირფასო თანამემამულენო და თქვენი სასკოლო ცხოვრება ავსახო. აი, თქვენგან მოწოდებული ინფორმაცია.*

# ყველაფერს მონდომებით, საქმის სიყვარულით ვაკეთებთ



**მოგესალმებით!**

სსიპ ვ. ვეკუას სახ. აფხაზეთის N3 საჯარო სკოლის ინფრასტრუქტურა გამართულია. მას 2 წლის წინ აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ძალისხმევით გაუკეთდა კაპიტალური რემონტი.

სკოლაში ყოველგვარი პირობაა შექმნილი მოსწავლეთა ნორმალური სწავლა-აღზრდისათვის. მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობა - **მ. ქარჩავა, ს. ღურწკაია, ე. ხაბეიშვილი, თ. მებონია, მ. როდონაია, ლ. ლეჟავა** და სხებმა ფეხდაფეხ მიყვებიან დროის მოთხოვნებს. ისინი სისტემატურად ქმნიან როგორც ვიზუალურ, ისე ელექტრონულ რესურსს. ხშირ შემთხვევაში მათ არც მოსწავლეები ჩამორჩებიან და თვითონაც ქმნიან სხვადასხვა რესურს, რაც სასწავლო პროცესს უფრო საინტერესოს ხდის. ზოგადად სკოლაში ბევრი რამ კეთდება მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად. მოსწავლეებს უცხადებენ მადლობას, გადასცემენ ქების სიგელებს, მშობლებს უგზავნიან მადლობის წერილებს. პარალელურად ისეთ აქტივობებს ახორციელებენ, რომელიც მათ ქუჩას მოწყვეტს. შედეგიც სახეზეა, გასულ სასწავლო წელს 10 მოსწავლიდან სამმა - **მ. გაბისკირიამ, ნ. გურჩიანმა და ი. დავლაშერიძემ,** ოქროს მედალზე დაამთავრა სკოლა. სკოლის არაერთი კურსდამთავრებული სწავლობს ევროპის უნივერსიტეტებში.

სკოლაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა აღზრდას ჯანსაღი ცხოვრების წესით. ყოველწლიურად ტარდება შიდა სასკოლო ტურნირი ჭადრაკში სამივე საფეხურის მოსწავლეებისათვის. საშუალო საფეხურის მოსწავლე გოგონები წლების მანძილზე ზედიზედ ინარჩუნებდნენ რეგიონის ჩემპიონის ტიტულს ჭადრაკში.

სკოლაში არანაკლები პოპულარობით სარგებლობს ფეხბურთი (გოგონები, ვაჟები), კალათბურთი (ვაჟები) და გეზრბენი (გოგონები, ვაჟები). შედეგიც სახეზეა. რეგიონში ჩვენი გოგონები და ბიჭები პირველობას არავის უთმობენ ფეხბურთსა და გეზრბენში. გამონაკლისი გასული სასწავლო წელი იყო, როცა ბიჭები ფეხბურთში მეორე ადგილით დაკმაყოფილდნენ. ჩვენი სკოლის აღსაზრდელები





გეზრბენში (გოგონები, ბიჭები) საქართველოს სპორტული ოლიმპიადის ფინალისტებიც კი იყვნენ, ხოლო საბაზო საფეხურის ვაჟები- თბილისის ჩემპიონები ,,კოკა-კოლას" თასზე. .

გასულ სასწავლო აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ,,განათლების ხელშეწყობის პროგრამის" ქვეპროგრამა ,,შთEM" განათლების ხელშეწყობა-მზარდი და ინოვაციური გონების" ფარგლებში ჩვენი სკოლის მე-10 და 11 კლასის მოსწავლეებმა განახორციელეს 3 პროექტი.: შექმნეს ხელის უკონტაქტო დისპე**ნსერი, ისწავლეს სხვადასხვა სახის - დამატენიანებელი, დეკორატიული, სურნელოვანი თუ სამკურნალო საპნის წარმოება, დაეუფლნენ მზის ენერგიის გარდაქმნას ელექტროენერგიად. დაამონტაჟეს კორექტორები/პანელები სკოლაში** და ამჟამად სკოლის ერთ-ერთი ფოიე განათებულია ამ კორექტორებით გამომუშავებული ენერგიით.

ამ ეტაპზე სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები ახორციელებენ ახალ პროექტს : **,,ხეზე კვეთა",** რომლის მიზანია ხეზე მხატვრული კვეთის შესწავლა და **პროფესიული განათლების პოპულარიზაცია.**

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სკოლის პედაგოგები ზოგადად დიდ დროს უთმობენ მოსწავლეებთან კლასგარეშე მუშაობას. სკოლაში ტრადიციადაა ქცეული პოეზიის საღამოს ჩატარება, მწერლის მოწვევა თუ პომპეზური ბოლო ზარი. მე-7 კლასმა გასული სასწავლო წლის ბოლოს განახორციელა პროექტი თემაზე **,,ვინც იყო, იგი რომ არა",** რითაც პატივი მიაგეს სამშობლოს ზვარაკად შეწირული მამულიშვილების ნათელ ხსოვნას. ამ სასიქადულო მამულიშვილების პატივსაცემად შექმნეს (გამოუშვეს) 170 გვერდიანი ხელნაწერი წიგნი (მასწავლებელი **ს. რურუა**).



ამ ეტაპზე ისინი-აწ უკვე მე-8 კლასელები, ემზადებიან პოეზიის საღამოსთვის თემაზე: ,,შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და....." ამჯერადაც ფიქრობენ ამავე დასახელების ხელნაწერი წიგნის გამოცემას, სადაც თავმოყრილი იქნება ჩვენი სასიქადულოო პოეტების ლექსები. ამ პროექტის ფარგლებში იგეგმება ვიზიტი მთაწმინდის მწერალთა პანთეონშიც. ამით ამაღლდება ეროვნულ-პატრიოტული შეგნება.

მიმდინარე სასწავლო წელს უკვე ჩატარდა არაერთი აქტივობა:

- ზეიმით აღვნიშნეთ ახალი სასწავლო წლის დაწყება და აფხაზური ენის დღე.
- დაწყებით კლასებში მოეწყო შემოდგომის ზეიმი,
- მე-5 კლასი კლასის საათის ფარგლებში ეწვია მთაწმინდას და პატივი მიაგეს ჩვენს სასიქადულო პოეტებს და სხვა.
- ჩვენი სკოლის აღსაზრდელებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტროს ორგანიზებით გამართულ ღონისძიებაში, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ეროვნული გმირის - **ჟიული შარტავას**, ხსოვნას და სხვა.

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის დასაწყისში აფხაზეთის საჯარო სკოლებს შორის ერთადერთს შემოგვთავაზეს ავტორიზაციის გავლა, მაგრამ თავი შევიკავეთ, რადგანაც სკოლას არ ჰქონდა საავარიო გასასვლელი. ეს პრობლემა დღესაც გადაუჭრელია, რადგანაც სახსრების უქონლობის გამო მისი გადაჭრა სკოლას აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დაფინანსების გარეშე არ შეუძლია.

**სვეტლანა რურუა**

* * *

ჩვენ კი დავემშვიდობებით ლადო ასათიანის შეცვლილი სტრქონებით: „მალე აფხაზეთში, შინ სიარული, ნუ მოგვიშალოს ღმერთმა. ყველა სევდიანი გავხდეთ მხიარული, დევნილები არასდროს გვერქვას".

ბოლოს დავამატებ ვაჟას სურვილს: „ეგ თქვენი გლოვაწუხილი დე შეგეცვალოს მღერაზე!"

**ბორის კინდღელი,**
პედაგოგიკის დოქტორი





166-ე სკოლა ჩვენი მეგობარია

# გამარჯვებისაკენ თვალი უჭირავთ და აღწევენ



**ამ სკოლაზე** როცა წერას ვაპირებ, მყის გამახსენდება ქუთაისელთა სიმღერა: „ადვილია შენი ნახვა, დავიწყება არის ძნელი.” დიახ, ბევრჯერ ვსტუმრობდი ამ სკოლას, დღითიდღე უმჯობესია. ბედნიერია დირექტორი, რომელსაც ძლიერი პადკოლექტივი ჰყავს. ზუსტად ასეთია გამობრძმედილი შემოქმედი **ირმა ომანაძე**, რომელსაც მხარს უმშვენებენ ასევე გამოცდილი მოადგილეები, რომელთაც ქვემოთ ვახსენებთ. ამ სკოლასთან მეოთხედი საუკუნეა შემოქმედებითი თანამშრომლობა მაკავშირებს და ყოველივე ამის გარანტორია **ირმა ომანაძე** - ულალატო, სიტყვის პატრონი, მაღალპროფესიონალი, საუკეთესო თვისებებით შემკული პიროვნება.

თუ როგორ ხორციელდება ყოველივე ზემოთქმული, ამაზე სკოლიდან მიღებული ინფორმაციიდან შეიტყობთ.

* * *





**დაპირებას მუდამ ვასრულებდით და კვლავაც შევასრულებთ**

**ინფრასტრუქტურული** მდგომარეობა არასახარბიელოა, ექვემდებარება სრულ რებილიტაციას, რომელიც გათვალისწინებულია



2024 წლისთვის.

სკოლაში გაიხსნა 3 პირველი კლასი. დამრიგებლები: **თეა გიგაური, ლია ჩაჩუა, ფიქრია როხვაძე.**

გყავს სამი მოადგილე: **მაია კაკაურიძე** და **მაგდანა მდივანი** კურირებენ სასწავლო პროცესს, ხოლო **მაია ხუბუკელაშვილი** სკოლის ფინანსურ მიმართულებას.

სკოლა ამაყობს 4 მენტორი, 18 წამყვანი და 65 უფროსი მასწავლებლით.

მენტორები არიან: **მაკა ჭიაბერაშვილი** (ქართული ენა და ლიტერატურა), **მაია კაკაურიძე** (მათემატიკა), **გალინა ქადაგიშვილი** (ფიზიკა), **ბიჭიკო ოჩიგავა** (ინგლისური ენა, სპორტი).

წამყვანი მასწავლებლებია: ლალი ტურიაშვილი (ქართული ენა და ლიტერატურა), მერი ცეცხლაძე (ქართული ენა და ლიტერატურა), ლია ჩაჩუა (ქართული ენა და ლიტერატურა), ნანა რუხაია (ინგლისური ენა), ლია სირაძე (რუსული ენა), მარინე ფირცხალავა (რუსული ენა), ტატიანა კვაჭანტირაძე (რუსული ენა), მაია ბუჯიაშვილი (მათემატიკა), ქეთევან ვერულაშვილი (მათემატიკა), ქეთევან კენჭიაშვილი (მათემატიკა), მარინე მაღლაფერიძე (ისტორია), ბარბარე ქებაძე (ისტორია), ირმა ომანაძე (ქიმია), ეკატერინე გურგენიძე (ქიმია), მარინე კაპანაძე (ბიოლოგია), ეთერ ქადაგიშვილი (ბიოლოგია), ნინო როსტომაშვილი (მუსიკა), ელენე ხურცილავა (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება).

სკოლაში სწავლობს 37 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე.

2013 წლიდან ვახორციელებთ „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის” ფარგლებში აუტისტური სპექტრის დარღვევების მქონე მოსწავლეთა ინტეგრირებული კლასის ფუნქციონირებას, რომელშიც ირიცხება 8 აუტისტი ბავშვი.

შარშან ოქროსცვენა იყო: გვყავდა 16 ოქროს მედალოსანი: ვახტანგ გონგაძე, ელენე ელიზაროვი, ელენე ჭელელიძე, მარიამი არეშიძე, გიორგიქ ობულია, ნანა ლომთათიძე, ლუკა სოფრომაძე, ნიკოლოზ კვირიკაშვილი, ნიკოლოზ თევდორაშვილი, ანა აფხაზიშვილი, მარიამ აბშილავა, ელენე ზეიკიძე, ანდრია გოგოლიძე, გიორგი თოფურია, შალვა იმნაძე, გიორგი მახარაძე.

მოსწავლეთა ჩართულობა-აქტივობების კუთხით ბევრი სასარგებლო ღონისძიებები ჩატარდა.

ახალ მინისტრს ვთხოვდი: მეტმა პედაგოგმა მიიღოს სასწავლო ვიზა ევროპის ქვეყნებში. სასწავლო გაკვეთილების ჩატარება მოხდეს უმაღლესი სასწავლებლის ბაზაზე არსებული ლაბორატორიების გამოყენებით და ლექტორების დახმარებით.

ჩატარებულ ღონისძიებათა შინაარსი ძალზე ვრცელია და აქ არ გვაქვს საშუალება მათი ჩამოთვლისა.



კიდევ ბევრის თქმა შეიძლება, „კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი”. მისურვებია თქვენთვის ჯანმრთელობა, გამძლეობა, შემოქმედებითი აღმაფრენა, ძვირფასო კოლეგებო, 166-ე სკოლელებო

**ბორის კინდღელი**

**რედაქტორის მინაწერი:** ჩვენი გაზეთი იუბილარია, 95 წლის გახდა. დიდ მადლობას მოვახსენებ **ირმა ომანაძეს**, მთელ პედკოლექტივს თანადგომისთვის, დახმარებისთვის, შემოქმედებითი თანამშრომლობისთვის.



54-ე სკოლელთა სიტყვა და საქმე

# იმრავლონ „დედაენით“ გაზრდილთა თაობებმა



**იოსებ ნონეშვილი** წერდა: „თუ დედაენით არ ხარ გაზრდილი, გულში არა გაქვს ცეცხლი ქართული“. გიხაროდენ! ბოლო დროს მთავრობა მთლიანად დაადგა ილიას გზას – **„ენა მამული სარწმუნოება!“**

ამ მოთხოვნას მუდამ პირწმინდად ასრულებდნენ თბილისის 54-ე საჯარო სკოლის პედაგოგები.

ბედნიერია დირექტორი, რომელსაც ასეთი ძლიერი მასწავლებლები ჰყავს. გამობრძმედილი, შემოქმედი ხელმძღვანელი **ქეთევან ჩოქური**, მოადგილე **თინათინ ტალიაშვილი**, მთელი პედკოლექტივი ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ ახალი თაობები იაკობის „დედაენით“ იყონ აღზრდილნი.

სკოლიდან მივიღეთ ინფორმაცია, სადაც არა გაკეთებულზე, არამედ გასაკეთებელზე არის გეზი აღებული.

* * *

## უფრო მეტი ვიზრუნოთ მომავალზე

არ ვიცი, კიდევ რა შეიძლება დავამატო ამ ბოლო პერიოდში გაჟღერებულ უამრავ იდეას, მოსაზრებას, სურვილსა და კითხვას, რომელიც ჩვენი ქვეყნის საგანმანათლებლო პოლიტიკის მესვეურთა მისამართით დაისვა.

ფაქტია, რომ რიგ საკითხებში სხვადასხვა აზრის მქონე ჩვენი საზოგადოება, განათლების ხარისხის ამაღლებაზე ერთსულოვანია. განათლებული საზოგადოების უპირატესობებზე საუბარი შორს წაგვიყვანს.ეს ის ჭეშმარიტებაა,რომელიც მზა რეცეპტების სახით დაგვიტოვეს ცნობილმა ადამიანებმა. თუმცა, ჩვენს თემაზე საუბრისას ილიას სიტყვებს მაინც მოვიშველიებ: ,,ჭეშმარიტი განათლება განვითარებული გონების და გაწვრთნილი ზნე-ხასიათის ერთმანეთთან შეუღლებაა. სკოლის ამოცანაა,როგორ შეარჩიოს ისეთი თვისებით სწავლება, რომ შედეგად გონებაგახსნილი და ზნე-ხასიათგაწვრთნილი ახალგაზრდა წარმოდგეს. ბავშვის ნორჩ სულს ადვილად ამჩნევია ავი და კარგი,ადვილად აღიბეჭდება წვრთნა და სწავლა”.

როგორც აღვნიშნე, ამ ბოლო დროს სხვადასხვა ფორმატში ხორციელდება საგანმანათლებლო საზოგადოებასთან უწყვეტი და ინტენსიური კომუნიკაცია საქართველოს განათლების მინისტრის, ბატონ გიორგი ამილახვარის მხრიდან. ეს არ გახლავთ ფორმალური, ზედაპირული და დიალოგიშეხვედრები შეხვედრებისთვის. ფაქტია, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან, დასახულია მიზანი, რიგ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით მიღწეულ იქნას კონსესუსი და ცვლილებები დაიგეგმოს და განხორციელდეს თანმიმდევრულად, რაციონალურად,თანამშრომლობითი კულტურის საფუძველზე.

ამ გზით განხორციელებული რეფორმები, იქნება ეფექტიანი მთავარი მიზნების მისაღწევად - აღვზარდოთ ახალგაზრდა თაობა, რომელიც საერთაშორისო გამოწვევების პირობებში უნდა იყოს კონკურენტუნარიანი, რომელმაც უნდა გააგრძელოს სახელმწიფოს შენება და რომელმაც უნდა იპოვოს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზების საშუალება ამ ქვეყანაში.

პროცესი დაწყებულია, როგორც გამოიკვეთა, ცვლილებების განხორციელება იგეგმება რამოდენიმე მიმართულებით. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვნად მიმაჩნია შემდეგი საკითხები:

1. სასწავლო პროცესის რამდენადმე განსხვავებულად ორგანიზება, კერძოდ, საშუალო საფეხურზე დიფერენცირებული სწავლების შემოღება,პროფესიული პროგრამების დანერგვა (პირველ ეტაპზე 50 საპილოტე სკოლაში), მოსწავლეთა ეროვნული შეფასების შემოტანა VI, IX , XII კლასებში და მოსწავლეთა განვითარების შემდგომი პერსპექტივის განსაზღვრა ამ ეროვნული შეფასების მიხედვით.

2. პედაგოგთა პროფესიული განვითარების არაეფექტური პრაქტიკის შეცვლა. მოგეხსენებათ, რომ თავად მინისტრმა არაერთხელ განაცხადა ამ პრაქტიკის მანკიერი მხარეების შესახებ. თავად პედაგოგებიც ხშირად აღნიშნავენ, რომ კუთვნილი შვებულების დროს, ან დამღლელი სამუშაო დღის მერე ჩატარებული ონლაინ ტრენინგები ვერ პასუხობს არსებულ გამოწვევებს და საჭიროებებს. აპლიკანტებს არ ეძლევათ საშუალება, თავად განსაზღვრონ ტრენინგ მოდული, აირჩიონ სივრცე, სადაც შეძლებენ საკუთარი კომპეტენციის ამაღლებას.

3. მოსაფიქრებელია პედაგო-



გის საქმიანობის წარმოების იმგვარი მექანიზმიც,რომელიც გაამარტივებს არსებულ ბიუროკრატიას და პედაგოგებს საშუალებას მისცემს გამოთავისუფლებული დრო საგაკვეთილო საქმიანობის დაგეგმვასა და წარმართვას დაუთმოს.

4. კარგი იქნებოდა პედაგოგთა წახალისება სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის გზით.ეს იქნებოდა ერთის მხრივ სტიმულის მიმცემი პედაგოგისთვის,ხოლო მეორეს მხრივ-კვალიფიკაციის ამაღლებისა და გამოცდილების გაზიარების საუკეთესო გზა.

5. მოსაფიქრებელია სკოლაში ახალგაზრდა, ნიჭიერი კადრების მოზიდვის ეფექტური მექანიზმები.

6. შესაძლებელია ევროპული პრაქტიკის გაზიარება, როდესაც მოსწავლის მიღწევები სკოლაში გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლებში ჩარიცხვისას.



რაც შეეხება სახელფასო პოლიტიკასსახელმწიფოს მხრიდან გამოიკვეთა მზაობა, რომ საგანმანათლებლო სივრცეში ჩართულ ყველა რგოლს ჰქონდეს ღირსეული ანაზღაურება, რაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისასალმებელია. ჩვენს სფეროში გადადგმული ყველა ნაბიჯი, იქნება ეს მასწავლებლის ეროვნული დღის, თუ ეროვნული ჯილდოს დაწესება, მინისტრის ღია და ხშირი შეხვედრები პედაგოგთა კორპუსთან ცხადად წარმოაჩენს სახელმწიფოს დამოკიდებულებას და ხედვას საგანმანათლებლო პოლიტიკასთან მიმართებაში.

თამამად ვამბობ, რომ ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ჩვენ აუცილებლად გვეყოლება ეპოქის გამოწვევების შესაბამისად განათლებული და ზნემაღალი თაობა, ზნეობრივ პრინციპებთან წილნაყარი განათლება კი, მოგეხსენებათ, რომ ყველაზე ძლიერი იარაღია, რომელსაც სამყაროს უკეთესობისკენ შეცვლა შეუძლია.

**ქეთევან ჩოქური**

სხვაზე არანაკლებ ვიცი, რომ მათი სიტყვა და საქმე ერთია, პირობას უთუოდ შეასრულებენ. გამარჯვებას გისურვებთ, ძვირფესო კოლეგებო, ამ მეტად რთულ მამულიშვილურ გზაზე.

**ბორის მიშველაძე,**
პედაგოგიკის დოქტორი

### 36-ე სკოლის წარმატებული ავტორიზაცია

# მასწავლებელთა გაზეთთან თანამშრომლობის მარგალიტები





**ამ** ძვირფას ტრადიციას გასულ საუკუნეში ჩაეყარა საფუძველი. ცნობილი დირექტორი **კამო სიმონგულოვი** ყოველთვის იყო **„სახალხო განათლების"** მკითხველი და ქომაგი. ეს ურთიერთობა ახალ საფეხურზე აიყვანეს კამოს მემკვიდრეებმა: **ქეთევან მელიქიშვილმა** და **მაია კვინიკაძემ**, რისთვისაც წერილის შესავალშივე მათ დიდ მადლობას ვუხდით. დღევანდელი დირექტორი **მაია კვინიკაძე** ამ სიტყვების ავტორის ორმაგი კოლეგაა: ჩინებული პედაგოგი, სკოლის მეთაური და ჟურნალისტიც გახლავთ.

ახლა კი მოკლედ სკოლის დღევანდელ ცხოვრებას შევეხოთ. მივიღეთ ფრაგმენტებად აკრეფილი ინფორმაცია.

* * *

## ახალი ვითარებას ფეხი ავუწყვეთ

**„სკოლას** ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. 2023-2024 სასწავლო წელს გაიხსნა ორი პირველი კლასი.

ხელმძღვანელები არიან **დალი ცქვიტიშვილი; ნონა ღარიბაშვილი**.

მიმდინარე სასწავლო წლის 18 ოქტომბერს სკოლაში ჩატარდა დირექტორის არჩევნები, სკოლამ აირჩია მოქმედი დირექტორის მ.შ **მაია კვინიკაძე,** მის მოადგილედ დაინიშნა **ქეთევან მელიქიშვილი.**

ჩვენი სკოლის წამყვანი პედაგოგები არიან **მაია კვინიკაძე; ლეილა ნიკოლეიშვილი; მაია ჩხაიძე; მაკა კობიაშვილი; თამარ მამულაშვილი.**

სკოლამ მიმდინარე სასწავლო წელს გაიარა ავტორიზაცია.

გასული სასწავლო წლის შედეგები წარმატებული იყო: გვყავს ერთი ოქროს და სამი ვერცხლის მედალოსანი.

ოქროს ლაურეატია: **ნანა ზამთარაძე;**

ვერცხლისა: **ლოლოტა ხალვაში; სევილა მუსაევი; სალომე ბარათაშვილი.**

სასწავლო-შემეცნებითი აქტივობები. ღონისძიებები ნაყოფიერად ჩატარდა:

30 სექტემბერი - თბილისობის ფარგლებში „მხიარული სტარტები" - გამარჯვებულები. ხელმძღვანელი: **იამზე მეტივიშვილი**

25-29 სექტემბერი - ევროპის სპორტული კვირეულის ფარგლებში, ვმონაწილეობდით სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებში. ხელმძღვანელი: **იამზე მეტივიშვილი**.

მოსწავლეები ჩაერთვნენ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის „პროფესიული ორიენტაციის პროგრამაში" ხელმძღვანელი: **მაია კვინიკაძე**.

იტალიური ენის XXIII მსოფლიო კვირეულს ხელმძღვანელობდნენ: **მადონა ბოკუჩავა; ნანა წიკლაური.**





მეთერთმეტე კლასის მოსწავლეებმა მიიღეს მონაწილეობა 3 და 6 ნოემბერს ცესკოს პროექტში **„არჩევნები და ახალგაზრდა ამომრჩეველი."**

27 ოქტომბერს „მასწავლებლის ეროვნული დღის" აღნიშვნა საინტერესო იყო. ხელმძღვანელი: **ნანა წიკლაური**

8 და 24 ნოემბერი - სკოლის ვიზიტს „ილიას მუზეუმში" ხელმძღვანელობდნენ: **მზია ჩიტიშვილი და სოფიო ასლამაზიშვილი.**

განათლების მინისტრთან გვაქვს ერთი თხოვნა, კარგი იქნებოდა დირექტორებს ჰქონოდათ წვდომა სკოლაში დამონტაჟებულ კამერებთან."

„კიდევ ბევრი სადღეგრძელო დაგვრჩა დაულეველი". შემდეგისთვის იყოს!

ახლა კი, ძვირფასო კოლეგებო, გილოცავთ ავტორიზაციის წარმატებით გავლას და ახალ წარმატებებს გისურვებთ!

**ბორის კინდღელი**

### 201-ე ბაგა-ბაღი

# საქმის სიყვარულია წარმატების საწინდარი



**თბილისის** 201-ე ბაგა-ბაღში პატარებისთვის საუცხოო პირობებია შექმნილი. ნიჭიერი, შემოქმედი დირექტორი **ხათუნა გვენეტაძე** კარგად უძღვება ნორჩების შემეცნებითი უნარების განვითარებას, ესთეტიკურ აღზრდასა თუ მათი ინტერესების სფეროს გაფართოვებას.

ბაგა-ბაღში მაღალ დონეზეა მუშაობის შინაარსობრივი მხარე, დიდია მოთხოვნაც და მიმღებლობაც, რაზეც ყოველწლიურად მზარდი კონტინგენტი მეტყველებს. სასწავლო-აღმზრდელობით პროცესში საკუთარი წვლილი შეაქვთ: დირექტორის მოადგილე — **ზაირა იმნაძეს,** საქმისმწარმოებლებს – **ლელა ჯაფარიძესა** და **თამარ ღონღაძეს**; საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორ **ლია მამამთავრიშვილს**, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორ **ნელი მურალაშვილსა** და ჯანმრთელობის და ჰიგიენური დაცვის კოორდინატორ **ხათუნა თოთიბაძეს;**

ბაღში ექვსი ჯგუფია: აქედან ორი – ბაგის, ორი – 3-4 წლიანთა, თითო-თითო 4—5 წლიანებისა და მზაობის. სააღმზრდელო პროცესში ბავშვთა ინდივიდუალურ ჩართვაზე, აღმზრდელებთან ერთად, ზრუნავს მულტიდისციპლინარული ჯგუფი: ფსიქოლოგი **ნატალია ჩხაიძე**, ლოგოპედი **თამარ ადამია**, სპეც. პედაგოგი **ქეთევან ხომერიკი**. სკოლაში წამსვლელი აღსაზრდელების მაქსიმალური წინასასკოლო მომზადება ადაპტირებული სააღმზრდელო პროგრამით ხორციელდება, რაც გაწერილია ბავშვთა ასაკობრივი განვითარების სახელმწიფო სტანდარტებში.

საინტერესო შემოქმედებით აქტივობებში ჩართულები არიან აღმზრდელები — **ლალი კაპანაძე** (30 წლიანი სამუშაო გამოცდილებით), **მარიზა გოგიშვილი**, **დინარა ლომიძე**, **მარინე გვიმრაძე**, **ლელა დაიაური, ნინო გიორგაძე, თამარ მაზანაშვილი, თამარ გაბაშვილი;**

აქ წლების განმავლობაში ზრუნავენ პატარებზე აღმზრდელის თანაშემწეები: **თამარ მურალაშვილი, ნინო აღნიაშვილი, მალინა ჩაჩიბაია, ნაირა დავითაშვილი, ნინო ბექაური, შორენა გულედანი, ნანა თანანაშვილი.**

ცეროდენების მუსიკალური გემოვნების ჩამოყალიბებასა და ხელოვნების სიყვარულზე, აქტივობებისა და ზეიმების უზადოდ გაფორმებაზე მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები – **მაყვალა მელქაძე** და **თამარ ხვედელიძე** ზრუნავენ.





თბილისის საბავშვო ბაგა-ბაღების მართვის სააგენტო აქტიურად არის ჩართული ბაღების წინსვლისა და განვითარების საქმეში. ამჟამად ინერგება **„ჰასპის"** სტანდარტის საერთაშორისოდ აღიარებული სურსათის უვნებლობის მართვის სისტემა. სამზარეულოები მთლიანად დაიგეგმა ისე, რომ აღსაზრდელებისთვის მომზადებული სადილი აკმაყოფილებდეს ყველა იმ მოთხვნას, რომლის წინაშეც დგას ბაღი. კეთილმოწყობილ და კარგად აღჭურვილ სამზარეულოში, აღსაზრდელებისთვის გემრიელ და კალორაჟის დაცვით მომზადებულ კერძებს ამზადებენ: **ნათელა აფციაური, მელანო აღნიაშვილი, თინა კალაშიანი**.

ქალბატონ **ხათუნა გვენეტაძის** ძალისხმევით, ბაღში შექმნილია უსაფრთხო გარემო, კეთილმოწყობილია ეზო, დასასვენებელი სივრცეები; გაწკრიალებულ, თვალსაჩინოებებითა და სათამაშოებით გაჯერებულ ჯგუფებსა და დერეფნებში სისუფთავეზე ზრუნავს უდიდესი პასუხისმგებლობის ტექნიკური პერსონალი: **სალომე ზანგურაშვილი, ხათუნა აღნიაშვილი, მანანა ივანიშვილი, მაია ლომიძე; ირინა ზედგინიძე, ლილი ივანოვა, ეკა აღნიაშვილი, ირმა მესხი; დავით პაპიაშვილი, ლაშა ლომაია, თეიმურაზ შერაზადიშვილი; დავით აღნიაშვილი, გიორგი ჩოხელი;**

სარემონტო სამუშაოების გამო, შედარებით დატვირთული ზაფხულის შემდეგ, დაიწყო ბაგა-ბაღის გახსნისთვის ეზოს მოწყობა, შენობის, ჯგუფებისა და სამზარეულოს დეზინფექცია, დასუფთავება და მოწესრიგება.



ბაღში აღსაზრდელთათვის გაწერილია მთელი რიგი აქტივობები, ცეკვისა და მუსიკის გაკვეთილები. ჯგუფებში, დღის მანძილზე, აღმზრდელებთან და აღმზრდელის თანაშემწეებთან ერთად, პატარები ხატვის, ძერწვისა და მხატვრული კითხვის მეცადინეობებით არიან დაკავებულები. ხშირად სეირნობენ ეზოში სუფთა ჰაერზე, ტარდება სპორტული ღონისძიებები, მხიარული სტარტები, მინი ფეხბურთისა და კალათბურთის შეჯიბრებები. შესაბამის ასაკობრივ ჯგუფებში მოეწყო შემოდგომის გაცილების მხიარული აქტივობები, დაწყებულია საახალწლო მზადება და ბავშვები თოვლის ბაბუისა და საჩუქრების მოლოდინში არიან.

**ნათია გურგენიძე**

ბავშვი – უპირველეს ყოვლისა!

# 170-ე ბაგა-ბაღის სადარბაზო ბარათი



**გულისხმიერება,** სითბო, უშუალობა 170-ე ბაგა-ბაღის სადარბაზო ბარათია.

ცხადია, ეს სათუთი გრძნობები, უპირველესად, აღსაზრდელებისკენაა მიმართული, მაგრამ პედაგოგთა მრწამსი ზოგადად მოყვასის სიყვარულისკენაცაა მიმართული, რასაც ბავშვებსაც აზიარებენ.

თუ ბავშვებად არ გარდაიქმნებით, ვერ შეხვალთ ცათა სასუფეველშიო, გვმოძღვრავს უფალი და აღმზრდელები ცდილობენ თავადაც გაბავშვდნენ, პატარების თვალით შეხედონ სამყაროს და ასე გაითავისონ მათი სიხარული და წუხილი, ერთდროულად აღმზრდელებიც იყვნენ და – მეგობრებიც. ბავშვები ხომ პატარა ადამიანები არიან, ვისაც ჩვენზე ნაკლები ცოდნა და გამოცდილება აქვთ.

170-ე ბაგა-ბაღში კარგად უწყიან, რომ სწორედ ბავშვობაა ის ძირთაძირი, საიდანაც იღებს საწყისს ყოველი ჩვენგანის პიროვნება და პიროვნულობა – გონებრივი, ფიზიკური თუ ზნეობრივი განვითარება; რომ სწორედ ბაგა-ბაღებში ყალიბდება ის ფსიქოტიპი, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე მიგვყვება. დიდი ცოდნა, ტაქტი, სიფრთხილე და ბავშვების უზომო სიყვარულია საჭირო, რომ პატარები სწორ კალაპოტში ჩააყენო, სწორად წარმართო მათი სულიერ-ფიზიკურ-ზნეობრივი აღზრდა, რადგან ამ ასაკში მოკლებულს, მერე და მერე ძნელად შეავსებ.

ასე რომ იმუშაო, ასე რომ აზიარო პატარები სიკეთესა და გუისხმიერებას, ფიზიკურად ჯანსაღი აღზარდო, ჯერ მათი ნდობა უნდა მოიპოვო, ოღონდ, არა ხელოვნურად, თვითმიზნურად, არამედ მრწამსითა და წრფელი გულით. ყმაწვილები ხომ ბავშვური უშუალობით უმალ ხვდებიან, სად სიმართლეა და სად – სიყალბე.

ყოველი ბაგა-ბაღი მუშაობაში მათთვის დაწესებული ბაგა-ბაღების სააღმზრდელო პროგრამით ხელმძღვანელობს და სწორედ აქ არის „ჩამარხული ძაღლის თავი“ – ზუსტად, მაგრამ ტრაფარეტულად მიჰყვები ამ პროგრამას, თუ შემოქმედებითად უდგები, შენეული შეგაქვს მასში.

ყოველივე ზემოთქმული გასიგრძეგანებული აქვს 170-ე ბაგა-ბაღის მთელ კოლექტივს. სწორედ ამის შესატყვისად შრომობენ აღმზრდელები, ქალბატონები: **ნინო**



**აბრამიშვილი, ხათუნა ჯოხაძე, დარიკო მოდებაძე, თამარ ლაფერიშვილი, სოფიო თევზაძე, ეკატერინე აბურჯანია, თამილა გოჩიტაშვილი, დარეჯან ბერაძე, მედეა ბიბილეიშვილი, მანანა გლოველი, ეკატერინე ნანეიშვილი, ანტონინა თუმანიშვილი, მაყვალა შიოშვილი, ნათია მელიქიშვილი, სოფიო მარკოზია;** მათი თანაშემწეები, ქალბატონები: **ლალი გეგეშიძე, იამზე წულაია, ფატი მოდებაძე, ლალი ბუხრაშვილი, ლეილა გოცირიძე, ეთერ კურტანიძე, მაყვალა ირემაძე, ლანა ლაფერიშვილი, ციალა ფალავანდიშვილი, ვერა აბრამიძე, ნონა ლიპარიშვილი, ეკა სურმანიძე, მარინა მითაგვარია, ნინო ტაბატაძე, ველინა ერისთავი, ნანა მრელაშვილი, ელენე ჭუჭულაშვილი, მარინე ბახტაძე, თამარ მელიქიშვილი, ანა კვესიტაძე, ციცინო წიკლაური, ნონა გოგოლაძე.**

თუ სათავე წმინდაა, წყაროც ანკარა მორაკრაკებს. 170-ე ბაგა-ბაღს სათავეში განათლების დარგის ღვაწლმოსილი, ამაგდარი მუშაკი, ქალბატონი **ქეთევან დვალიშვილი** უდგას, ვისთვისაც ბაღი მეორე ოჯახადაა ქცეული და ვინც ერთი გზნებით ანთებული – ბავშვების სიკეთისათვის განუხრელად მზრუნველი – კოლექტივი შემოიკრიბა.

კოლეგებთან სწორედ კოლეგიალურად, შემოქმედებითად მუშაობენ დირექტორის მოადგილე,



ქალბატონი **ია შერაზადიშვილი,** საგანმანათლებლო პროგრამების კოორდინატორები, ქალბატონები: **ანა ჯავახია** და **თამარ ყიფშიძე.** აღსაზრდელების ასაკობრივი, ფიზიკურ-გონებრივი შესაძლებლობების სპეციფიკის სრული გათვალისწინებით ირჯებიან ფსიქოლოგი, ქალბატონი **თინათინ კოშკაძე,** ლოგოპედი, ქალბატონი **ნატალია კალანდარია,** სპეციალური პედაგოგი, ქალბატონი **ანი სურმავა;** მუსიკისა და ცეკვის ჯადოსნურ სამყაროს აზიარებენ პატარებს, გემოვნებას უხვეწავენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები, ქალბატონები: **თამარ ნახუცრიშვილი, მარიამ გუგუშვილი, ლია ჩიხლაძე, მზია კანდელაკი.** ბაღში ჰიგიენურ გარემოსა და პატარების პირად ჰიგიენაზე, მათ ჯანმრთელობაზე განუხრელად ზრუნავენ ჯანმრთელობისა და ჰიგიენური უზრუნველყოფის კოორდინატორები, ქალბატონები **თინა კარანაძე** და **ნელი რაზმაძე.**

ბაგა-ბაღი რთული ორგანიზმია. მისი წარმატება ყოველი რგოლის გამართული, ურთიერთშეთანხმებული მუშაობის შედეგია. ამიტომაა გამოსარჩევი და დასაფასებელი მისი ყოველი მუშაკის ღვაწლი: საქმისმწარმოებლების, ბატონ **ზურაბ გორდელაძისა** და ქალბატონ **ნანა მუსელიანის**, მზა-



რულის, ქალბატონ **ნატალია ბერუაშვილის,** მისი დამხმარეების, ქალბატონების: **ნანული ლომიძისა** და **ლამარა ქამუშაძის**; დამლაგებლების, ქალბატონების: **ქეთევან ჯანყარაშვილისა** და **რუსუდან ჩილინდრიშვილის**; მრეცხავების, ქალბატონების: **ნანა ჯაშიაშვილის, იამზე კაპანაძისა და მაია ლომსაძის,** დარაჯების (დაცვა), ქალბატონი **ხათუნა ეფრემიძისა** და ბატონ **გია კახაბერის,** მუშა, ბატონ **თენგიზ ჯახველიძის,** მებაღე, ბატონ **ჯონი გეფერიძის,** მეეზოვე, ბატონ **გიგლა სახოკიასი.**

და კიდევ, ძალზე მნიშვნე-ლოვანი: კოლექტივის ყოველმა წევრმა კარგად უწყის, რაოდენ მნიშვნელოვანი მისია აბარია და რომ მისი შესრულება მხოლოდ ერთობლივი, შეთანხმებული და მიზანმიმართული მუშაობითაა შესაძლებელი. ამიტომ პატივს მიაგებენ, აფასებენ ერთურთის გარჯას, მყისვე მზად არიან დახმარების ხელის გასაწვდენად. ასეთი ჯანსაღი ურთიერთობები, ჯანსაღი სამუშაო გარემო კი კვლავ და კვლავ აღსაზრდელების სასიკეთოა. 170-ე ბაგა-ბაღის დევიზი ესაა: ბავშვი – უპირველეს ყოვლისა!

**ეკატერინე გურგენიძე**

166-ე ბაგა-ბაღი

# „მერმისი" ყოველთვის მოწინავეა



**ბავშვებისთვის** სასიამოვნო და კეთილმოწყობილი გარემოა შექმნილი თბილისის 166-ე ბაგა-ბაღში, ამიტომაც აღსაზრდელებიც კმაყოფილები არიან და მშობლებიც. აღნიშნული საბავშვო დაწესებულება მაღალ შედეგებზეა ორიენტირებული და მიღწეული შედეგებით არ კმაყოფილდებიან. განხორციელებულ პროექტებსა თუ სასწავლო - სააღმზრდელო პროცესზე თავად დირექტორი შორენა პარუნაშვილი მოგვითხრობს, რომელიც წარმატებით უძღვება დაკისრებულ მოვალეობას.

შორენა პარუნაშვილი: ახალ სასწავლო წელს 166-ე ბაგა-ბაღ „მერმისის»კოლექტივი შემართებით და ახალი ენერგიით შეხვდა. ბაგა-ბაღში თორმეტი სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფი ფუნქციონირებს, მათ შორის სამი სასკოლო მზაობის. სასწავლო წლის დასაწყისში ახალჩარიცხული აღსაზრდელებისა და მათი მშობლებისთვის, უმტკივნეულო ტრანზიციის ხელშეწყობის მიზნით, დაიგეგმა შეხვედრები ყველა ასაკობრივი ჯგუფის თითოეული მონაწილისათვის. მშობლებს და ბავშვებს დახვდათ მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, ცენტრებად დაყოფილი და საჭირო რესურსით უზრუნველყოფილი ჯგუფები. ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს მხარდაჭერით, არაერთი ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

საგულისხმოა, რომ ბაგა-ბაღი ხელმძღვანელობს შერჩეული კურიკულუმით და სახელმწიფოს მიერ შემუშავებული და დამტკიცებული სტანდარტით, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებს იძენს ბავშვი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების ფარგლებში. აქედან გამომდინარე, ბაგა-ბაღში პრიორიტეტული საკითხებია: სასწავლო - სააღმზრდელო პროცესის სწორად ორგანიზება, ბავშვთა უფლებების დაცვა, უსაფრთხო გარემოს შექმნა, სისუფთავე და ჰიგიენა, ჯანსაღი კვება. ჩვენი მისიაა: შევქმნათ გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვს გამოავლინოს და განივითაროს შემოქმედებითი უნარები, დასვას კითხვები და ეძიოს პასუხები, იყოს გახსნილი, კრიტიკულად მოაზროვნე, ჰქონდეს სამყაროს მრავალფეროვნების დანახვის საშუალება.

როგორც ქალბატონი შორენა აღნიშნავს, ბაგა-ბაღში დაცულია უსაფრთხოების ზომები, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. უზრუნველყოფილია თითოეული ბავშვის პირადი ჰიგიენის ნორმები, რასაც კოორდინირებას უწევენ ნატო მიროტაძე და თამილა მამაგულაშვილი. თანამშრომლები ზრუნავენ აღსაზრდელებისა და ერთმანეთის ემოციური უსაფრთხოების დაცვაზე. ხელმძღვანელობენ ბავშვის უფლებათა კონვენციით, ასევე ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურებს და შეუძლიათ ძალადობის სახეების ამოცნობა, რასაც ფუნქციურად ასრულებს ბაგა-ბაღის დირექტორის მოადგილე ნინო ოდიკაძე.

საგანმანათლებლო პროცესი ბაგა-ბაღში მიმდინარეობს თამაშზე დაფუძნებული კურიკულუმით. სასკოლო მზაობის ჯგუფებში ეროვნული კურიკულუმით - „თამაში,» რომელიც უზრუნველყოფს აღსაზრდელის წინსვლას



განვითარების ყველა სფეროში (ფიზიკური და სენსორული განვითარება, სოციალურ-ემოციური განვითარება, კომუნიკაციური უნარების, ენისა და მეტყველების განვითარება, შემეცნებითი განვითარება, დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევის განვითარება), რაც ასევე, ითვალისწინებს მრავალფეროვან, ასაკისა და განვითარების შესაბამის საქმიანობას, როგორც ბაღის შენობაში, ასევე, ეზოში. დღის განრიგში ერთმანეთს ენაცვლება აქტიური და ნაკლებაქტიური საქმიანობები, რაც ზრდის თამაშის შესაძლებლობას როგორც ინდივიდუალურად, ისე წყვილებში, ასევე მცირე და დიდ ჯგუფებში. დღის განრიგი ასაკის შესაბამისია და კვირის გეგმა მოქნილი. საგანმანათლებლო პროცესი იგეგმება პროგრამის, მიზნების, ბავშვის საჭიროებების, შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით. აღმზრდელები და აღმზრდელის თანაშემწეები იყენებენ თამაშით სწავლების თანამედროვე მიდგომებს, ხელმძღვანელობენ პოზიტიური გაძლოლის პრინციპებით. ყველა ამ პროცესს კოორდინირებას უწევენ მეთოდისტები: ინგა ჩაფიძე და დალი ნინუა.

აღსანიშნავია, რომ ბაგა-ბაღში სრული შემადგენლობით მუშაობს მულტიდისციპლინარული გუნდი, ხუთი სპეც. პედაგოგი, ლოგოპედი და ფსიქოლოგი. ამჟამად, ბაღში ირიცხება 39 სტატუსის მქონე აღსაზრდელი - სხვადასხვა განსაკუთრებული საჭიროებებით. აქედან, 14 შშმ ბავშვია. მათთვის შექმნილი პროგრამა კი, ხელს უწყობს განსაკუთრებული საჭიროებების მქონე აღსაზრდელთა ინკლუზიის პროცესს. დაკვირვება-



შეფასების საფუძველზე მათთვის იქმნება ინდივიდუალური გეგმები ძლიერი მხარეების, საჭიროებების და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სასწავლო წლის დასაწყისში, ყველა ასაკობრივი ჯგუფის აღსაზრდელთა და მშობელთა აქტიური ჩართულობით, განხორციელდა პროექტი შემოდგომის ფესტივალი. ღონისძიება მხიარული და სასიამოვნო ემოციებით დატვირთული იყო, როგორც პატარებისთვის, ისე მშობლებისთვის და თანამშრომლებისთვისაც.

მშობლების ჩართულობით, წლის მანძილზე, ბაგა- ბაღში არაერთი მუსიკალურ-გასართობი აქტივობაა დაგეგმილი. აქ მიიჩნევენ, რომ პატარების მომღიმარი სახე და მშობლების დადებითი უკუკავშირი, მნიშვნელოვანი სტიმულია ბავშვთა აღზრდის მეტად მნიშვნელოვან საქმეში, რაც აძლიერებს 166-ე ბაგა-ბაღის პერსონალზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს, კეთილსინდისიერად შეასრულონ საკუთარი საქმე.

**ანანო სამელია**

**საქართველოს უხუცეს პიროვნებას, ქალბატონ ნინა ჯაჭვლიანს,**

# ნინა ბებია არის 127- წლის



**იოვანე აბულაშვილი-ბებაბუშვილი**
მწერალი და იურისტი

***

**ჩემი** ერთი წინაპრის,
თანატოლი ბრძანდებით,
უამრავ დაბრკოლების,
დამმარცხებელი ბრძენ ქალი.

საუკუნეზე მეტი ხნის
ცხოვრება გაქვთ განვლილი,
კეთილ მფარველ ანგელოზის-
-თანადგომით ნამდვილით.

გაუმკლავდით ცხოვრებაში,-
-პრობლემებს და სიძნელეს,
იმედით და შემართებით,
 ემსახურებით სიმართლეს.

გაიარეთ ცხოვრების გზა
უდიდესი პერიოდი,
იშვიათად არის ყველგან,
თქვენნაირი ბედნიერი.

რჩეული ხართ თქვენ კულტურით,
სიკეთითა და ზრდილობით,
უფლის ნების მხარდაჭერით,
მუდამ, მორწმუნე ყოველთვის.

2

მუდმივად გემახსოვრებათ:
ახალგაზრდობა, ბავშვობა,
სამშობლოს ერთგულებისთვის,
გეკუთვნით დიდი მადლობა.

თქვენნაირი კარგი ხალხი
მრავლად იყოს ყველგან,
შრომითა და მონდომებით,
უხუცესი წინ ხართ.

თქვენი ახალგაზრდობის დროს
უნივერსიტეტი დაარსდა,
ეროვნული ბიბლიოთეკაც,
მაგ პერიოდში დაფუძნდა.

თქვენს დიდ გამოცდილებას,
უზიარებთ ყველას,
მოხუცი ხალხის აზრები,
დასაფასებელია ყველგან.

შვილები, შვილიშვილები,
გეყოლებათ ალბათ,
დიდედა-შვილთაშვილების,
მათ, იმედად ყავხართ.

თითოეული მათგანი
სამშობლოს გამოდგომოდეს,
ქვეყნის წინსვლა-შენებაში,
ყველას ადგილი ჰქონოდეთ.

3

მე, პირადად ვარ გაზრდილი-
-ბებიის და ბაბუის
მოხუცების სიყვარული,
მაგონდება ყოველთვის.

ნეტავ ყველა ადამიანს
ეცოცხლოს ეგრე დიდხანს,
საუკუნეზე მეტ ხანს
კვლავაც ეცხოვროთ ბრძენ
ხალხს.

კიდევ დიდხანს გეცოცხლოთ,
თქვენნიანებთან ერთად,
კიდევ ერთი საუკუნე
განვლეთ ჯანმრთელად, კარგად.

**177-ე მოწინავეთა რიგებში**

# მაღალხარისხიანი აღზრდა-სწავლება - დღის წესრიგში




**დიდი** სიმპატიით ვარ განწყობილი ამ სკოლის დირექტორისა და პედკოლექტივის მიმართ. რატომ? იმიტომ, რომ მაღალპროფესიონალები, შრომისმოყვარენი არიან. შემოქმედმა დირექტორმა **გელა ოდიშელიძე** მტკიცე, პასუხისმგებლიანი და რა გასაკვირი იქნება, სასურველ შედეგებს მიაღწიონ. ასედაც არის.

**გელა ოდიშელიძეს** დიდი ხანია ვიცნობ, როგორც დიდ დირექტორს, დიდებულ პიროვნებას, ნიჭიერად უძღვება თბილისის 177-ე საჯარო სკოლას. ნონეშვილისა არ იყოს: „ცხოვრებაში კაცად დარჩე ბოლომდის, ესეც კი ხომ გმირობაა დიდი». ასეთი გმირია ბატონი გელა - „გულითა გაუტეხელი, მოუღალავი მკლავითა».

დირექტორს მხარს უმშვენებენ გამოცდილი, ენერგიული მოადგილეები **გვანცა გოგალაძე** და **ელენე ვინნიკ.**

განათლების ახალმა მინისტრმა გიორგი ამილახვარმა ახალი რეფორმისადმი ამოცანები დაგვისახა, რასაც ღირსეულად ეხმაურებიან 177-ე სკოლელები.

დიდი მადლობა მინდა მოვახსენო დირექტორის მოადგილეს **გვანცა გოგალაძეს** და საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერ **ია ჯეირანაშვილს** სკოლის ცხოვრების ამსახველი ინფორმაციის მოწოდებისათვის, რომელსაც ასე დავასათაურებთ:

## ფეხს ავუწყობთ ყველა სიახლეს

„თბილისის 177-ე საჯარო სკოლა თბილისში, დავით ჯაბიძის ქუჩაზე ახალგარემონტებულ შენობაშია განთავსებული. ამჟამად 50 აკადემიური კლასი ფუნქციონირებს. მიუხედავად მოთხოვნისა, ყოველწლიურად მხოლოდ ხუთი პირველი კლასის დაკომპლექტებს საშუალებას გვაძლევა ჩვენი სკოლის ინფრასტრუქტურა. წელს Iა კლასის დამრიგებელია **ეკა მიქაძე,** Iბ კლასის - **ნანა ბაიაშვილი**, Iგ კლასის **თინათინ აფციაური**, Iდ კლასს **ანანა სივსივაძე** ხელმძღვანელობს, ხოლო Iე კლასს - **ნინო ჩადუნელი.** ვფიქრობთ, ის, რაც ჩვენს სკოლას სხვა სკოლებისგან გამოარჩევს, არის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მოსწავლეები მხოლოდ პირველ კლასებში 15 მივიღეთ 2023-2024 სასწავლო წლისთვის.

სკოლას ხელმძღვანელობს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი ბატონი **გელა ოდიშელიძე,** რომელიც ამავე დროს არის სამოქალაქო განათლების მასწავლებელი. მას ჰყავს ორი მოადგილე სასწავლო დარგში: **გვანცა გოგალაძე**, ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი მასწავლებელი და **ელენა ლინნიკ,** მათემატიკის წამყვანი მასწავლებელი. სკოლის მასწავლებლები გადანაწილებულნი არიან ცხრა საგნობრივ კათედარზე.

ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის წევრები არიან წამყვანი მასწავლებლები: **თამარ ნადიბაიძე, იზოლდა ჩიტაძე, ნინო მოსიაშვილი, ნინო ნონაშვილი, და უფროსი მასწავლებლები: ხათუნა ჯულელი, მანანა სიხარულიშვილი** და **ეთერ (მარიამ) ჩხაიძე.**

მათემატიკის კათედრის წევრები არიან წამყვანი მასწავლებელი **ლარისა ქავთარაძე და უფროსი მასწავლებლები: სვეტლანა არხიპოვა, ინგა მოსიაშვილი, მაკა ჩხაიძე-აბაიშვილი, მანანა ლობჟანიძე, ეკატერინე აბზიანიძე.** ისტ უფროსი მასწავლებლები: **ია ჯეირანაშილი** და **ლელა ილურიძე.**

საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე მუშაობენ: **ნინო ჯეირანაშვილი, რუსუდან ფიცხელაური, ანა ქასოშვილი, შორენა უსენაშვილი, ვანდა სინაურიძე, თამარ დარსალია, დავით მაჭავარიანი, ანი ჯინჭარაძე, ანნა ჭრელაშვილი.** ყველა მათგანი უფროსი მასწავლებელია. სამხედრო საქმეს ასწავლის **კობა ურიდია.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა: **ინგა ნავდარაშვილი** - წამყვანი მასწავლებელი და უფროსი მასწავლებლები: **ბელა თოდუა, ლიკა მაისურაძე, აზა მაისურაძე, ლელა ჩოხელი, ქეთევან ცხადაძე, ხატია კაჭარავა.**

**ესთეტიკის კათედრის უფროსი მასწავლებლები: ანა შავლოხაშვილი, ია არაბული, ირმა ოთარიშვილი, ნანა მალაზონია, ლალი კილასონია, ფიქრია გოგალაძე, თამარ ზედგინიძე.**

უცხოური ენების კათდრა: პირველი უცხოური ენის, ინგლისურის, უფროსი მასწავლებლები: ანა კიკაჩეიშვილი, **ნანული ვაშაკიძე, ნინო ჩინჩალაძე, ნანა აბდუშელიშვილი, თამარ მიგრიაული, შორენა ბურჭლაძე.** ჩვენს სკოლაში მეხუთე კლასიდან მოსწავლეებს აქვთ საშუალება ორი უცხოური ენიდან ერთ-ერთი შეარჩიონ. რუსულ ენას ასწავლიან უფროსი მასწავლებელი: **სოფიო სამხარაძე, მარინე ბრეუსოვი** და **ზინაიდა სისაური.** იტალიურ ენას კი ასევე უფროსი მასწავლებელი მარიამ მაჭარაშვილი ასწავლის.

დაწყებით კათედრას ყველაზე მეტი წევრი ჰყავს: წამყვანი მასწავლებლები: **ნინო ჩადუნელი, ნელი ლანჩავაშვილი, ლია ღაჭავა, ცეზარი კორტი.**

უფროსი მასწავლებლები: ეკატერინე აბზიანიძე, ნანა ბაია**შილი, თინათინ აფციაური, ანანა სივისვაძე, მარიამ პაპუაშვილი, ია მღებრიშვილი, მაია მახარაძე, ნუნუ ბერიძე, სოფიო ფერაძე, დარეჯან ულუმბეგაშვილი, ჟუჟუნა მნათობიშვილი.**

სპორტის კათედრის წევრები: **დიმიტრი მუმლაძე მენტორი, თამარ გოგატიშილი წამყვანი, ხოლო ნონა გოგრიჭიანი, გიორგი არჯევნიშვილი** და **რატი სირაძე** უფროსი მასწავლებლები არიან.

ინკლუზიური განათლების კათედრაზე სპეციალური უფროსი მასწავლებლები: **თამარ ნავერიანი, ფიქრია ჭანკვეტაძე, მარიამ რაზმაძე, ხათუნა მურადაშვილი, ხათუნა გოგებაშილი** და **ანასტასია თოდუა** არიან. ამავე კათედრაზეა ფსიქოლოგი **თამთა დიასამიძე.** სკოლაში საგაკვეთილო პროცესის პერიოდში შშმ მოსწავლეებს ჩართულობაში ეხმარებიან ასისტენტები: **ჟანეტა (ფატი) გერლიანი, ნათია ჩეჩელაშვილი, დოდო ფრუიძე, ინგა ქავთარაძე, ლიკა გელხაური, თამარ შუკაშვილი, თამილა აბულაძე, ნათია ნიკოლაძე, თეონა ერაძე, რუსუდან ზიბიაშვილი, მარიამ სამხარაძე, მადონა საური, მაია ბაქანიშვილი, მარიამ ჭანტურაია, ია ჩიტაშვილი.**

სკოლის ინფრასტრუქტურასა და სისუფთავეზე ზუნავენ სკოლის თანამშრომლები: **ლიანა თხელიძე, თინათინ (ნათელა) ჯოხაძე, ქეთევან სირანიშვილი, ნელი ხაბელაშვილი, ლალი ბოჩიკაშვილი, გიული დალაქიშვილი, ციალა ჩიკორაია, გალინა პლოტნიკოვა, მურთუზ აივაზოვი, სერგო ცქიტიშვილი, ნუგზარ ბუსკაძე, ვასილ ღუნაშვილი, გელა მჭედლიშვილი, დავით მაღალდაძე.**

სკოლის ბიბლიოთეკას ხელმძღვანელობს **ეკა ელოშვილი**.

2022-2023 სასწავლო წელი დაასრულა საშუალო საფეხურის ოქროსმედალოსნებმა: **მარიამ მაჭარაშვილმა, გიორგი ლომიძემ, ლიზი გუბელაძემ, მარიამ აფციაურმა, ჯაბა ხელაშვილმა, ნინო შავდიამ, მარიამ სარკიაშვილმა, ნუცა დუშმანიშვილმა, ანანო შაქარიშვილმა და სალომე გოგინაშვილმა**.

ვერცხლის მედალი გადაეცათ: **ლუკა ნოზაძეს, მარიამ მაისურაძეს, შალვა ქართლელიშვილს, მათე ნაკაშვიძეს, მარიამ გოგალაძეს და დაჩი ციხელაშვილმა».**

ჩამონათვალითაც კარგად ჩანს, რა დაძაბული მუშაობა მიმდინარეობს 177-ე სკოლაში. დამდეგ შობა-ახალ წელს გილოცავთ, კოლეგებო!

**ბორის მიშველაძე,**
პედაგოგიკის დოქტორი

22-ე ბაგა-ბაღი სანიმუშოა

# ხარისხზე ორიენტირებული დაწესებულება



**ახალი** საგანმანათლებლო პროცესის დაწყებას კარგად მომზადებული შეხვდა თბილისის **22-ე** ბაგა-ბაღი (დირექტორი **ნინო გვრიტიშვილი**). ასაკობრივად განაწილდა ჯგუფები, მოწესრიგდა სივრცეები, შეივსო საჭირო მასალითა და სათამაშოებით, დაიგეგმა ღია კარის დღე, სადაც მშობლებს და პატარებს შესაძლებლობა მიეცათ მოენახულებინათ საბავშვო ბაღი, გაცნობოდნენ გარემოსა და აღმზრდელს. სასწავლო წლის დაწყება პატარებს მულტფილმის გმირების ფორმებში გადაცმულმა თანამშრომლებმა მიულოცეს და ეზოში მხიარული ღონისძიებით აღნიშნეს. ადმინისტრაციამ ბაღების სააგენტოს რეკომენდაციით დაამტკიცა ადრეული განათლების კურიკულუმი **„თამაში“,** შეიმუშავა ბაგა-ბაღის ხედვა – **მისია, ხედვა, ღირებულებები:**

**მისია**: დაწესებულების პერსონალი და ოჯახი, პოზიტიური და უშუალო დამოკიდებულებით, შექმნის ბავშვის კეთილდღეობაზე ორიენტირებულ გარემოს, სადაც ის სიხარულით დაეუფლება მისი განვითარებისთვის საჭირო ყველა მნიშვნელოვან პროცესს – ჰუმანურ, მეგობრულ, ტოლერანტულ და ადაპტურ გარემოში. ჩამოყალიბდება სოციალურ-ემოციური უნარების მქონე ინდივიდად, რომელიც იქნება თავდაჯერებული, ბედნიერი, თავისუფალი პიროვნება და მომავალში წარმატებით შეძლებს თავის დამკვიდრებას.



**ხედვა**: ხუთ წელიწადში გავხდებით ხარისხზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულება, ადამიანური და მატერიალური რესურსის გაძლიერების გზით.

**ღირებულებები**: თანამშრომლობა და გუნდურობა; სუფთა, მოწესრიგებული და ბავშვზე ორიენტირებული უსაფრთხო გარემო; სიახლეებზე ორიენტირება; დაინტერესებულ პირთა ჩართულობაზე ორიენტირება; ინკლუზიური მიდგომა და არადისკრიმინაცია; გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული მართვა.

ბაგა-ბაღში სულ **12** ჯგუფია: ბაგა – **„გენიოსები“** (აღმზრდელი **თამუნა სინატაშვილი**, აღმზრდელის თანაშემწე **ლედი ტარტარაშვილი**); **„მზის სხივები“** (აღმზრდელი **გულიკო კიკნაძე**, თანაშემწეები – **ნონა ჯავახიძე** და **ნინო არჩვაძე**); 3-4 წლიანები: **„დათუნიები“** (აღმზრდელი **ირინა მაისურაძე**, თანაშემწე **თამუნა გვრიტიშვილი**); **„გედები“** (აღმზრდელი **ნელი მეგრელიშვილი**, თანაშემწე **ნინო შონია**); **„მერცხლები“** (აღმზრდელი **ნანული ძებისაშვილი,** თანაშემწე **მანანა კურდღელაშვილი**); 4-5 წლიანები: **„ვარსკვლავები“** (აღმზრდელი **თეა ორჯონიკიძე,** თანაშემწე **მაკა მგელაძე**); **„ფისოები“** (აღმზრდელი **ანა საბაძე**, თანაშემწე **თეა მეტონიძე**); **„ბომბორა“** (აღმზრდელი **თამარ სალუქვაძე**, თანაშემწე **მარი კუცია**); 5-6 წლიანები, სასკოლო მზაობის ჯგუფები: **„ჭიამაიები“** (აღმზრდელი **მზია ვაზაგაშვილი**, თანაშემწე **ჯილდა ვახანია**); **„ბემბი“** (აღმზრდელი **ნინო მაისურაძე**, თანაშემწე **ხათუნა თოდუა**); **„პეპლები“** (აღმზრდელი **თინა სავაძე**, თანაშემწე **ლალი ბუაძე**); **„ციცინათელა“** (აღმზრდელი **შორენა ენუქიძე**);





ბაღში ფუნქციონირებს **მულტიდისციპლინარული ჯგუფი** – ფსიქოლოგები: **ეკა თხლაშიძე**, **ნათელა ავსაჯანიშვილი**, **ქეთევან ხუტიძე**; მეტყველების თერაპევტები: **ნანული გეგუჩაძე, მაია ჩაკვეტაძე-გოგოლაძე;** სპეც. პედაგოგები: **ქეთი აკოფაშვილი, თეონა დანელია**; სპეც. ასისტენტი **მაკა მამაცაშვილი;** ფსიქოლოგები აღმზრდელებთან ერთად ჯგუფის მდგომარეობას აფასებენ და შემდეგ მულტი ჯგუფი განიხილავს, თუ რომელი სპეციალისტის დახმარება სჭირდება ამა თუ იმ აღსაზრდელს, თუ ჯგუფს. ადგენენ მოკლე და გრძელვადიან გეგმას, რომელსაც აცნობენ მშობელს და იწყებენ ერთობლივ მუშაობას.

ტარდება ყოველდღიური აქტივობები, თემატური ღონისძიებები, ლამაზად გააცილეს შემოდგომა და საახალწლო კარნავალისთვისაც ემზადებიან. ჩატარებულ თემატურ აქტივობებს მუსიკალურად აფორმებენ მუსიკისა და ცეკვის პედაგოგები: **ნათელა ჩაჩიბაია, ქეთევან ხვედელიძე, ნათია ჭიაბერაშვილი;**

ქალბატონი **ნინო გვრიტიშვილი**, ადმინისტრაცია და პროფესიონალი კოლექტივი ყველაფერს აკეთებს აღსაზრდელებისთვის უსაფრთხო, მოწესრიგებული ფიზიკური გარემოსა და მუშაობის შინაარსობრივი მხარის მაღალი დონისათვის.

**თამთა სიდამონიძე**



პოეტის ახალი კრებული

# „შეშლილი ქარის“ წარდგინება



**2023** წლის 6 ოქტომბერს ფოთში, მშობლიურ ქალაქში შედგა ჩემი მეოთხე პოეტური კრებულის ,,შეშლილი ქარის” წარდგენა... ორგანიზატორი და მასპინძელი გახლდათ ქალბატონი **იამზე გორგოტაძე** და მისი მეუღლე ბატონი **ზაზა გუნცაძე**... ფონდი ქველმოქმედი 2015, არტ გალერეა და ქალთა კლუბი... დამხვდა შესანიშნავი, გამორჩეული მკითხველი და მსმენელი, თანაკლასელები და ახლობლები... დედაქალაქიდან მახლდნენ ცნობილი პოეტები ქალბატონი **ბელა ალანია**, ბატონები **ჯუბა ღებელი** და **თამაზ ჩადუნელი**...

შედგა დაუვიწყარი საღამო ზღვა ემოციით და სიყვარულით გაჯერებული... თავიდანვე გადაწყვეტილი მქონდა წიგნებიდან შემოსული თანხა ჩამედო ქველმოქმედებაში...






შემოსული თანხა 1000 (ათასი) ლარი სრულად მოხმარდა გურიის რეგიონში, კერძოდ ოზურგეთის, სოფელ ქვემო ბახვის სტიქიით დაზარალებულ ოც ოჯახს, მივუტანეთ არამალფუჭებადი პროდუქტები (20 ყუთი). დარიგდა საჩუქრად მეგობარი პოეტების კრებულები, აგრეთვე საბავშვო ლიტერატურა...

უზომოდ გაიხარეს სოფლის მაცხოვრებლებმა... შემდეგ კი მოვილოცეთ ჩოხატაურის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია...

ეს ყველაფერი უფალმა შემაძლებინა... მინდა აღვნიშნო მადლიერება და უდიდესი პატივისცემა საქართველოს მწერალთა შემოქმედებითი კავშირის თავმ-






ჯდომარის ქალბატონ **მაყვალა გონაშვილის** და მისი თანათავმჯდომარეების მიმართ... მივიღე საოცნებო ჯილდო, **გოგლა ლეონიძის ენდალმა** და მისი **ოქროს ნატვრის ხე,** რომელიც გადმომეცა მწერალთა სახლში გამართულ საიუბილეო ღონისძიებაზე, სადაც დაჯილდოვდნენ ისეთი დიდი პიროვნებები, ვისაც სიტყვა ეთქმით ქართულ მწერლობაში... ულრმესი მადლობა ჩემი მოკრძალებული შემოქმედების დაფასებისთვის... ეს ჯილდო დიდი პასუხისმგებლობაა ... გამეხარებინოს კიდევ და კიდევ ჩემი მკითხველი...

მშვიდობას და დამდეგ ბედნიერ შობა-ახალ წელს ვულოცავ ჩემ საქართველოს და ქართველ ერს...

**პატივისცემით,**

მაია ხოფერია

## ქება მოთხრობის გამლექსავისა



მაია ლებანიძე



### „შვლის ნუკრის ნაამბობი"

ახლა შეშინებული ობოლი და უმწეო,
ტყეში დავიარები დაბნეული უშენოდ,
შვლის პატარა ნუკრი ვარ დარჩენილი უდედოდ,
ნეტა საით წავიდა დედაჩემი უჩემოდ,
ტყე ხომ ჩემი სახლია თავს ვაფარებ კარგია,
ტანზე კაბა ქათიბი ხალიანი მაცვია,
ყველამ ვინც კი გამიცნო მეფერება მარგია,
დედას ვგავარ შორიდან მარტო რქები მაკლია.
მეშინოდა ხმაურის არაფერი მართობდა,
ვიმალები ბუჩქნარში ხეებს ვეკვრი მახლობლად,
თითქოს მეხი გავარდა ხმა მომესმა მაკრთობდა,
არწივს ჰქონდა განზრახვა დავეჭირე ახლოდან.
დედებს შვილებისათვის სარჩო გამოეტანათ,
ტყეში კენკრას კენკავდნენ ბარტყნი გამოეზარდათ,
ხეს კოდალა ერჩოდა როგორცა ჩანს ეცალა,
მისი ძალა მიკვირდა მომეწონა ერთგვარად.
იყო ჭექა- ქუხილი წვიმა ციდან გვაწვიმდა,
მე და დედა კუნტრუშით ვერთობოდით თავიდან,
ჩიტებს გამოეღვიძათ, ჟღურტულობდნენ, აცვივდნენ
თითქოს ლხინი ჰქონოდათ ყველა ერთად დაწყვილდნენ.
მზეს სხივები დაეშვა სიცხე გამოეგზავნა,
ამ დროს წყაროდ ჩაკითხვა დედას შემოეთვალა,
საამოა სიგრილე წყლით ფეხების დაბანა,
მახსოვს დედას ღიმილი და თვალები მაყვალა.
მინდვრად ცხვარი გაშლილი გზაზე შემოგვეყარა,
იქვე იჯდა მეცხვარე ძაღლიც კორდზე შემდგარა,
დედა შეკრთა მყისიერ შიში შემოეპარა,
მითხრა ჩუმად ვმჯდარიყავ ბალახებში მეხანა.
დაბნელდა, დაუკუნეთდა, ხმაურობა შემწყდარა,
დედას ველი, გავყურებ, თვალნი გადამელალა,
უცებ მისი ხავილით გული გადამეხარა,
ცოცხალია, მოვიდა, მეალერსა, მეწყალა.
შიშიც სადღაც გამქრალა დღე ღამედ გადამხტარა,
უცბად ჭექა გაისმა, თოფმა დაიგრიალა,
კვნესამ გული მომიკლა, სისხლი კვალად გამხდარა,
ტკბილად შევექცეოდით ლუკმა არმად გამხდარა.
ვიღაც ლეგა ჩოხოსანს კალთა შემოეკვალთა,
გაუმარჯოს იძახდა დედას გამოექანა,
მკვდარი ვიყავ ვხედავდი დედას რა დაემართა,
ხანჯალს ყელში უსვავდა სისხლი გადმოეღვარა.
დავდივარ და შევტირი ხეებს, მთებს და ახლობლებს,
მაგრამ დედა არ ჩნდება, ყველას თავი ვაცოდე,
ვარ ობოლი არ ვიცი ვინ მომკლავს და მაცოცხლებს,
ხელებს ვინ შეიღებავს ჩემი სისხლით ნაცოდვებს.

### „ნეკერჩხლის ფოთოლი"



ზამთრის სუსხი მორევია,
მეგობრებმაც მიატოვეს,
წვიმა მოდის შერევია ,
სულ ძარღვებში გამოჟონეს,
მთვარეც თითქოს ეციება,
აღარ ათბობს დაალონეს,
თითქოს ვიღაც ეცილება,
სხვებზე დარდმა გააოგნეს,
დილით იცის ეკიდება,
ქარი ისევ გააქროლებს,
ციდან თოვლი ეფინება,
და სიცივეს ააორთქლებს,
ეს გამხმარი ხის ფოთოლი,
ისე მაგრად ეჭიდება,
ნეკერჩხალი თავის ტოტებს,
სულ არაფერს ეკითხება,
ღამეს უთევს წვიმა აკრთობს,
ძილით სულ არ ეძინება,
იქნებ შეძლოს რომ არ დათმოს,
და სიყვარულს ეფიცება,
ზამთრის სუსხი მოერია,
მეგობრებმაც მიატოვეს,
არ დაეცა შეერია,
ცაში ჩიტებს გააყოლეს.



* * *

აი ეს მუხა მე რომ ვეძებდი,
ჩემი ბავშვობის მოგონებებში,
რამდენი სითბო მახსოვს შენს გვერდით,
რამდენ ტკივილებს იტევ შენს მკერდში,
კალოს ფერდობზე ამაყად მდგარი,
ებრძოდი ქარებს მეხს და გრიგალებს,
არ გაშინებდა არავინ მყარი,
და იშუშებდი სველ ნატყვიარებს,
როცა გაშლიდი შენს ძლიერ ტოტებს,
გაზაფხული კი თვალს შეგავლებდა,
გაიღვიძებდა მძინარე ტოტზე,
ჩიტი, რომელიც სულ გაძინებდა,
ახლა იები ყვავიან შენში,
ცუდი დღეები თვალს მიეფარნენ,
აი ამაზე ამბობენ ჩვენში,
ვიღაც დგას, მაგრამ არ იგვიანებს,
აი ეს მუხა მე რომ ვეძებდი,
ჩემი ბავშვობის მოგონებებში,
სიკეთეს თესდი, არ დაეძებდი,
რატომ ეძინა მთვარეს შენს ხელში.

### სალამი ძვირფას მეგობარს!



რადგან მე ძმადაც მიგიღე,
ადამიანად ყოფნა არსს,
გამოწვევა და სიმდიდრე,
მინდა წერილი მოგწერო,
ადამიანო შორიდან ,
შენი გაცნობა მომწყურდა,
შენი მოკითხვა მომინდა,
შენ როგორც გაიმეტებდი,
წიფლის ხეს მსხვილი ფესვებით,
ქედანს მოჰკლავდი ღუღუნას,
ტოტებზე თავგამეტებით,
არც იას ინდობ ბეჩავსა,
კლდის ძირსა ჩუმად მოსულსა,
ფეხით შემდგარხარ მის თავსსა,
სრესს და ბდღვირს ადენ დის წულსა,
ტყეში თოფებით ნუ ივლი,
არც ცული არის საჭირო,
ვინძლო მარჯვენამ გიმტყუნოს,
და ააცილო ძმობილო,
იქნებ კლდეს გულქვას მოუნდეს,
ტყვიის ასხლეტვა უკანა,
გამოგიბრუნდეს სამიზნე,
დაგმიზნებოდეს ზუსტადა,
პირიმზეს ველარ ხედავდე,
სული დატოვო ფეხთადა,
შენივ ნასროლი გხვდებოდეს,
თვალნი გრჩებოდეს ზეცადა,
ხოდა მის ადგილს იფიქრე,
შენ თავად ყოფილიყავი,
ხელმოქნეული ცულიდან,
მუხლებში მოხრილიყავი,
განა ასეთი რა გიჭირს,
განა ასეთი რა მოხდა,
იას რომ აცილებოდი,
ცული არ გერტყა მარტოკას,
ვაჟამ ხომ გვითხრა სათქმელი,
და ერთხელ უკვე დაგვმოძღვრა,
სხვის ჭირს თუ ველარ განვიცდით,
ჩვენაც დაგვიჭერს და მოგკვლავს.



* * *

დედა ენა! დედა მიწა!
დედა გულის სადარები,
როგორ მიყვარს ეს სახელი,
დედა ხელით სატარები,
დედის სითბო გულში მათბობს,
გაზაფხულებს ვადარებდი,
დედა ვიცი ჩემზე დარდობს,
ზრუნავს ისევ გამალებით,
მისი მზერა გზას მინათებს,
სულ არა მაქვს სადარდელი,
სანამ დედა გულში მახსოვს,
არ ვიქნები ნადარდელი,
დედა ენა! დედა მიწა!
დედა გულის სადარები,
მის სიყვარულს ასე ვამბობ,
არ მეყოფა ნადარები.

## ლიტერატურული გვერდი

# სიყვარულის ბრწყინვალებით ანთებული გულები

**„არსებული ყოფიერება არის დროსა და სივრცეში გაშლილი სიცოცხლე, რომელსაც აქვს ადამიანთა მიერ ერთმანეთისთვის ნაზიარები სიხარული და ბედნიერება".**

***ფრიდრიხ ნიცშე***

...**ჩვენმა** გზამ სასრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჰპოვა და იქ დაივანა. ლამაზი, სიყვარულით სავსე და სიხარულით გაბრწყინებული კოლხი მეგობრების მასპინძლობით გამართულ საღამოზე დარბაზში სიცოცხლის მჩქეფარება დუმდა. ქალბატონი **ნონა ჯანაშია**, ღვაწლმოსილი პედაგოგი და დიდებული პოეტი, თავად იყო ამ სიცოცხლის მზეობა და სიდიადე, მისი მოფერება და სიყვარულით გაჯერებული გამოსვლა ყველას მალამოდ მოეფინა გულიდან გადმოცვარული სიყვარულისა.

ჩვენი მომლოდინე, სიხარულით გულაფანცქალებული პატარების მიერ წაკითხული ჩვენივე ლექსების ხიბლი გვატკბობდა და ბედნიერების ფრთებით გვანანავებდა. საუცხოო იყო მათ მიერ ფანდურზე შესრულებული დაკვრა და მეგრულ-ქართული დამღერება.

ყველასთვის საამაყო და დიადი მეგობრის, **მზია კვარაცხელიას** გამოსვლა აფეთქებას ჰგავდა სიცოცხლის სიყვარულისა ჩვენდამი და იყო ქუხილად ბედნიერებისა ჩვენი სამყაროსი, ყოველი გამომსვლელი სულიერებას აფრქვევდა და ერთურთის ლამაზ სიცოცხლეს ლოცავდა. ლოცავდნენ სამშობლოს და ხოტბას ასხამდნენ მის მშვენიერებას, დიდებულებას მისი ზეცის და მიწისა, პოეტები ჰმადლობდნენ ზენას სულის ბწკარებიდან ამოგვირისტებული შტრიხებით და იყო ზეიმი ღვთიური სიყვარულისა და ამ ყველაფრის მადლიერება, მასპინძლობის ხელგაშლილობა, საღამოს ესწრებოდა ბიბლიოთეკის გაერთიანებების ცენტრის დირექტორი, ბატონი **ბესიკ არახამია**, რომელმაც ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ჩვენთვის ასეთი ლამაზი დღე ეჩუქებინა, რათა ეს ყველაფერი ბედნიერების ნოსტალგიად დარჩენილიყო ჩვენთვის.

მასპინძლობის სიყვარულად დაცლის კულმინაციამ კი, მეგრულ-ქართული სამზარეულო მენიუში გაწყობილი ნამზადისით სავსე რესტორან მონოპოლში მიაღწია, ეს იყო ალმაფრენა და ცად წვდომა სიხარულისა, განგვაცვიფრა ჯერ დარბაზის დიზაინმა, არისტოკრატულმა გრაციოზულობამ,



ინტერიერმა და მეგრული პატივღირსების მოლოდინს გადააჭარბა მასპინძლის **ელისო ქარჩავას** ხელგაშლილობამ, უანგარობამ, გულუხვობამ და სიხარულის პათოსით ამოძახილმა სიყვარულმა.

მადლიერება ჩვენს გულითად მასპინძლებს,

ჩვენს ძვირფას სამარგალოს და სიყვარული სავსე კოლხებს ამ ლამაზი დღეების სიცოცხლის საზრდოდ ჩუქებისათვის.

მე სამყარო მიყვარს, სწორედ ამ სიყვარულით.

და მასაზრდოებს, სწორედ ასეთი სიყვარულით სიცოცხლედ ნაზიარები.

**დეზი ემანუელიძე**

ბაგა-ბაღი „ხუთკუნჭულა“

# მომავალი თქვენია



**თბილისის** 199-ე ბაგა-ბაღ **„ხუთკუნჭულას“** 2008 წლიდან **იაგო მაისურაძე** ხელმძღვანელობს, რომელიც ერთადერთი მამაკაცი დირექტორია დედაქალაქის საჯარო ბაღებს შორის. იგი პროფესიით კინოწარმოების მართვისა და სკოლამდელი განათლების სპეციალისტია.

ბაგა-ბაღის საალმზრდელო პროცესში მისმა უშუალო ჩართულობამ, ევროპული სკოლამდელი განათლების მეთოდური მიდგომების გამოყენებამ და იმ გამოცდილებამ, რომელიც ბატონმა იაგომ გერმანიაში პრაქტიკული სამუშაოების დროს შეიძინა, საბავშვო ბაღზე მოთხოვნა და მიმღებლობა გაზარდა. წლების წინ, პატარებს საოცარი სამყარო შეუქმნა და ბაღში მინი-კინოსტუდია მოაწყო, სადაც თითოეული აღსაზრდელი თავად მონაწილეობდა მოკლემეტრაჟიანი ფილმების შექმნაში. გაზრდილი მოთხოვნის გამო, სტუდია დახურა და მის ნაცვლად, ახალი საალმზრდელო ჯგუფი გახსნა, რომელსაც დირექტორის კაბინეტიც კი დაუთმო. დიდი შრომის შედეგად, მოწესრიგდა და განახლდა ინფრასტრუქტურა და ჩვეული შემართებით განაგრძეს მუშაობა.

ყოველდღიურ სახალისო და გასართობ აქტივობებში მონაწილეობენ „ხუთკუნჭულას“ ფუტკრები, გვრიტები, მერცხლები... პატარები აღნიშნავენ



ბავშვთა დაცვისა და წიგნის საჯაროდ კითხვის საერთაშორისო დღეს, დედამიწისა და დედაენის დღეს, აქტივობები სამზარეულოში – ხილის ფესტივალი, ხატვა ბუნებაში, ბუნებაზე მზრუნველები, ბარაქიანი შემოდგომა, დამამთავრებელი აქტივობები და სხვა.

ბაგა-ბაღის საქმიანობაში დიდია მშობელთა ჩართულობა – საინტერესოდ წარიმართა ღონისძიება „დარგე შენი შვილის ხე,“ მშობლებმა სცენაზე ზღაპარ „წითელქუდას“ გმირებიც გააცოცხლეს.

დირექტორის ძალისხმევით, ამ საალმზრდელო დაწესებულებაში წიგნიერების ცენტრი მოეწყო შესაბამისი ინვენტარითა და დეკორაციებით. ცენტრი ძალიან საინტერესოდ მუშაობს, აქ ხშირად სტუმრობენ ცნობილი ადამიანები, რომლებიც თავად უკითხავენ პატარებს წიგნებს.

საალმზრდელო თუ შემეცნებითი მეცადინეობები, თამაშები, მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა, გაწკრიალებული ოთახები, დერეფნები, სამზარეულო, სველი წერტილები, შეკრული კოლექტივი და თითოეული აღსაზრდელის მიმართ სიკეთით სავსე დამოკიდებულება – ეს ის მშობლიური გარემოა, სადაც პატარებს მიუხარიათ და მშობლებიც გულდამშვიდებულები არიან, რადგან მათი შვილები საიმედო ხელში რჩებიან.

**ნათია გურგენიძე**









იუმორისტული წუთშესვენება

# გურული ღადაობა და იმერული შაყირი

## არა გრცხვენია ზვიად?

**არა** გამსახურდიავ, – არამედ ძიძიგურო:
ყოველგვარი სიკეთე მიიღე პირველი
პრეზიდენტისგან. შენ კი არხეინად ზიხარ
ქვეყნის დამაქცევართა ეკრანზე
„ვანოს შოუში“ ვანოსავით ჯღანაობ.

## არა გრცხვენია გუბაზ?

**არა** მეგრელიძევ, არამედ სანიკიძევ:
სახელოვანი მამის სახელს არცხვენ,
ქვეყნის ამომგდებ-დამაქცევართა
ბანაკში დაგორავ.

## რომ?

– **მეკუთვნის** ცოლი?
– გეკუთვნის, მაგრამ რომ არ გეკუთვნის?
– ამარცხებს უკრაინა რუსეთს?
– ამარცხებს, მაგრამ რომ ვერ ამარცხებს?

## ყურმოკრულები

**მიხო** სწორედ იმ ჭკუაზეა, ხელისუფლებაში
მოვიდეს და ხაზეს დაუთმოს მეთაურობა.
გაშლილ სუფრაზე მერიქიფედ თუ დაიყენა,
დიდი წყალობა იქნება.

## გავუფრთხილდეთ!

**„ჩვენი** ქვეყანა, ეგრე ლამაზი,
შავი ზღვის პირას აღმართულა,
თავზე გვირგვინად მუდამ მზე ადგას,
მისგან სხივებით მოქარგულია.
მთაც ლამაზია, ბარიც – ლამაზი,
ცა ფიროსმანის მოხატულია.

**/ალიო მირცხულავა/**

## რჩევას კაცი არ მოუკლავს

**იქმნება** ახალი პარტიები. სახელწოდებებს ეძებენ.
თუ შეიძლება „გირჩი“ და „კურკანტელა“, რატომ
არ შეიძლება „ლიბერტანიანი“ და „დარტანიანი“?
ვურჩევ სალომეს და ნიკას,
ეს სახელწოდებები გაინაწილონ.

## ფულის სუნი

**ფულს** სუნი არა აქვსო,
არ აღმოჩნდა მართალი,
სხვა პარტიაში გარბიან,
იქ ჰპოვეს სამართალი.
სამადაშვილი და სხვები
გადაბარგდნენ „ლელოში“.
თურმე ხაზარაძის ფულსა
სუნი უდის მდელოსი.

## სად არის თქვენი პატრიოტიზმი?

საყვედური პატრიოტთა ალიანსის „ობიექტივს:
მუსიკალური სივრციდან განდევნილა ზაქარია
ფალიაშვილი. აი, თუნდაც ზურაბ ანჯაფარიძის
100 წლის იუბილე. მაყურებელს არაფერი უნახავს
და მოუსმენია ამაზე. ოც წელზე მეტია, ეკრანზე
არ გასულა: „გიორგი სააკაძე“, დიდოსტატის
მარჯვენა“, „დათა თუთაშხია“, „მაია წყნეთელი“...
თავი მოგვაბეზრა ყველაფერმა უცხოურმა,
„გერბი საფასურმა“, სხვადასხვა ჟღარუნა ესტრადამ...

**მოსე მწერალი**

რეპლიკა!

# რჩევას კაცი არ მოუკლავს

**საზმაუს** მეორე არხის სახელწოდება გახლავთ „განათლება“. ყველა განათლება კარგია, თუ იგი ისეთს აგიხსნით, რაც აქამდე არ იცოდით. ეს ზოგადად. მაგრამ კონკრეტულად ამ არხის პრიორიტეტული დანიშნულება არის სამინისტროსთვის მუშაობაში ხელშეწყობა, მოსაგვარებელ პრობლემებში მხარში დგომა. კერძოდ, საჭიროა: აღზრდა-სწავლებაში, მეცნიერებაში, პროფორიენტაციაში, ხელოვნებაში და სხვა საქმეებში არსებული ვითარების გაშუქება.

ვერ ვიტყვით, ამ მხრივ არაფერი კეთდება, მაგრამ მხოლოდ 20 %-ით. 80 % კი... ჩართავ ეკრანს და : აი, რაღაც უცხოური ფილმები, მულტფილმები, ინტერნეტიდან ამოკრეფილი ფილმები; მოვიზიდოთ პედაგოგები, მეთოდისტები, მწერლები, ხელოვნების მუშაკები, მეცნიერები, ჩაატარონ ტელეგაკვეთილები სხვადასხვა საგანში, განსაკუთრებით – ქართულ ენაში, რადგანაც პარადოქსია, რომ ჟურნალისტიკა დამთავრებულები ვერ ფლობენ მართლწერისა და სტილისტიკის უნარჩვევებს.

შემოვიღოთ რუბრიკები, თემატური დებატები რამე პრობლემის გარშემო, რამეთუ კამათში იბადება ჭეშმარიტება. ბრძნული რჩევა არ გვაწყენს.

ჩვენი მხრივ კი „საქმე, რომელიც საჩოთიროა, ვცდილობთ, გაშოროთ, რაც შეგვიძლია“.

**„სახალხო განათლება+“-ის რედაქცია**



მზია კვარაცხელია

# ბარათი დედას!

**შემოვდე** თაროს თავზე ბარათი,
გაცრეცილია ნაწერი უკვე,
რამდენი წელი, ის სიმარტოვეს
უთქმელად უძლებს...

შენამდე მას გზა, ვერ გაუვლია,
შვილებზე ბარათს, ვერა უთქვია...
შენ გაწუხებდა შვილების ბედი,
ჩვენს თავზე, რას არ გადაუვლია...

ცუდი რომ არის, დედის სიკვდილი,
ეს ყრმობის წლებში... რამდენი ტანჯვა,
რამდენი ცრემლი,ისიც კარგი რომ გავიზარდეთ,
უსათნოესი მამიდას ხელში...

სითბო, ალერსი მშობელი დედის,
მოგაკლდება და, დაისადგურებს,
ბოღმა, სევდა და დარდები შენში...
მინდოდა მეთქვა, შენზე, ჩვენი გზა,
როგორ დაიბნა, რაც რომ დაგვშორდი,

ბევრი წელია, გასული მაგრამ,
სულმოუთმენლად, სულ, რომ გნატრობდით...
უშენობას, რომ ძალიან ვგრძნობდით...
თაროზე წერილს არც კი უგრძვნია,
რამდენი წელი მას გაუვლია...

მახსოვს მე დედი, შენი სიკვდილი,
გულს ჩარჩენილი შენი ალერსი,
შენი ღიმილი, მონატრებაში სულ ბევრი წლები,
შენზე დაღვრილი ის ცხარე ცრემლი...
სიზმარი იყო.

მე ის მინახავს ასე,
მუსააფიც და მოთქმა,
არ დავიბენი, ვნახე,
ვნახე მე ღმერთის მოსვლაც.

იყო სიზმარი მწარე,
გარეთ კივილი ბოღმა,
ვემთხვიე ჯვარს და ვიწყე,
ტირილი, ხვეწნა, ლოცვა.

იყო სიზმარი ძილში,
ვკვნესოდი მწარედ ღამით,
თვალწინ მე მიდგას ღმერთი,
წყალობას მაძლევს ლოცვის

თვალს ვახელ ასე მჯერა,
სხვა სამყაროში მოვხვდი...
ისევ ეშვება ღამე,
ისევ სავსე ვარ ბოღმით,

დავხუჭავ თვალს და მჯერა,
რა ფანტაზია მომდის...
გარეთ არავინ კივის,
და ღმერთიც რომ არ მოდის.

სიზმარი იყო მწარე, იყო ბურანი ღამის,
იყო და აღარ არის, ის მომეჩვენა წამით.
გარეთ არავინ კივის და სიჩუმეა სახლში,
არვინ შემოდის შიგნით და არვინ გადის კარში...

ისევ ვემთხვევი მე ჯვარს,
და ცრემლი მომდის ღვარად,
მშვიდობა იყოს მინდა,
ვლოცულობ, მთა და ბარად.



ზურაბ მამულაშვილი

# დედას

**გაზაფხულდა**, დედი, ისევ თბილისში,
ჩემი გულიც უცნაურად აძგერდა,
მითხრეს, როგორ გაჩნდი ღიმილ-ღიმილში
და შენ აკვანს ქარი როგორ არწევდა.

რომ გაზრდილხარ, ისე დამშვენებულხარ,
ჩვიდმეტი წლის მოგიტაცეს სულ ბავშვი,
შენი მსგავსი, როგორც აქ თქვეს ძველებმა,
არავინ არ დადიოდა უბანში.

ბავშვობაში სურათებსაც მიღებდი,
ცხოვრებაში არაფერი შეგშლია,
შენთვის ვიყავ ერთადერთი იმედი,
ჩემი თავი სიცოცხლეს რომ გერჩია.

კარგად იცი, მეც რა რიგად მიყვარდი,
უშენობით წუთითაც რომ ვერ ვძლებდი,
რა ვქნა, დედი, არაფრით არ მჯეროდა,
შენს გარეშე სიცოცხლეს თუ შევძლებდი.

შუქი არ ჩანს „ნახალოვკის" ოდაში,
დარისათვის პირიც აღარ უჩანს მზეს,
შენი ლანდი, როგორც შენ ბავშვობაში,
დღესაც დადის იმერეთის ქუჩაზე.

* * *

# რწმენაზე დიდი

**ჩემი** სიცოცხლის საოცარ წუთებს,
უფლის წყალობით ლამაზად ვთლიდი,
რწმენას, რომელსაც კელაპტარს ვუნთებ,
ჩემი ცხოვრების იმედად ვთვლიდი.

ვთვლიდი და თურმე ასეც ყოფილა,
ბევრჯერ გადავრჩი უფლის წყალობით,
რწმენამ, გული რომ შუქით მომფინა,
ქრისტეს ცეცხლივით დღესაც გადმოდის.

ვფიქრობ და მაინც ვერ გამიგია,
მათ შორის დღემდე სად გადის ხიდი,
რწმენა, უფალზე უფრო დიდია,
თუ თვით უფალი რწმენაზე დიდი.

* * *

# 100 წლის დედას მარიამ წიკლაურ-მამულაშვილს

**სიცოცხლეში** დედა მყავდა იმედად,
წავიდა და მაინცა მაქვს იმედი,
მიხაროდა ყოველთვის რომ მიგებდა,
მის შენიშვნებს მეც მაშინვე ვიღებდი.

მეგონა რომ მუდამ მეყოლებოდა,
არ ვჩქარობდი, ხშირად მოვფერებოდი,
ნუ წახვალო, შვილო, მეუბნებოდა,
მის ჩანაფიქრს მაინც ვერა ვხვდებოდი.

ასი წლისას გეფერებით აქედან,
დაიმშვიდე საგულეში ეგ გული,
ბევრი ქალი შემხვედრია ამ ქვეყნად,
ვერა ვნახე შენისთანა ერთგული.

უფლის ძალას შევავედრებ ამ ღამეს,
გავიტანო კიდევ ერთი ზამთარი,
რადგან ერთი იმედიღა მაცოცხლებს,
სოფლის ბოლოს, დედავ, შენი საფლავი.



ნინო ფრუიძე

# ნოსტალგია

**ლეჩხუმში** .სტუმრად მივდივარ ახლა,
მომნატრებია ჩემი სოფელი,
შემომეგება კრძალვით მამიკო...
თბილი ღიმილით დედა-მშობელი.

ჩემი, ნასპერი... სოფლის შარაგზა..
ბევრი ბავშვი და ღია ჭიშკარი..
როგორ დაცლილა და ჩაკეტილა,
გული მეტკინა, ვეღარც ვიცანი.

გურამის ეზო, სავსე ბავშვებით..
დაღამებამდე ჟივილ-ხივილი,
ბავშვურ სიცელქეს დრო რომ არა აქვს,
- სახლში მოდიო, - ბებოს კივილი.

კოდის წყაროსთან ბევრი ბავშვები,
ქალებიც, წყაროს ავსებდნენ რიგში,
ზღაპარი იყო ეს ყველაფერი,
მსგავს სინამდვილეს თუ ნახავ წიგნში.

სულ ნაბიჯ-ნაბიჯ მოვივლი ქუჩას,
გულს მონატრების სხივები ათბობს,
აღარც წყარო ჩქეფს ისე ხმაურით,
აღარც ბავშვების კისკისი ართობს..

საით წავიდნენ ის მეგობრები,
ერთურთს ბინდიც რომ ვერ გვაშორებდა,
წლები გაფრინდნენ და დარჩა სოფლად,
სიცარიელე და განშორება..

ვემშვიდობები. დამდგარა წუთი,
უკან მეძახის ჩემი სახლ-კარი,
დედა ცრემლს იწმენდს.. მამა არ იმჩნევს..
ჩემს გულს კი იპყრობს ცივი ზამთარი.

* * *

# ლეჩხუმელი ვარ

**აიშლებიან** მთებზე ნისლები,
ზეცას არ უჩანს ცისკრის კარები,
საქაჯიაზე.. ადევს რძისფერი,
დევების ძველი ნასახლარები.

ხარებს მიუძღვის ბიჭი გოგია,
ღიღინით მიაქვს წლები ფერდობზე,
მთის ძირში ერთი დიდი ლოდია,
დღემდე უნახავს წარსულს მეზობლებს..

ცა ქუდად ხურავს ლარტყოლიაშს და..
სანორჩის ჩრდილში ისვენებს მთვარე,
მაიაკის მთას მიმინო დაჯდა,
ხელცარიელი და მგლოვიარე..

ქველბანს აყრუებს მამლის ყივილი..
და ჰაუ-ჰაუს ძახილი მაკრთობს,
ამოგლეჯილი წინა კბილივით,
მიმინო ჩემს წინ სიცოცხლეს დათმობს.

და შემოდგომის ფეთქავს სიგრილე,
მივდევ ფოთლებს და ისევ ქარია,
მამულს ვერავინ ვერ შემიგინებს,
ლეჩხუმელი ვარ და მიხარია.

შენი შვილი ვარ, მწამხარ მე ღმერთად,
სხვას გემოვნებას მე არ ვუწუნებ,
ხელი ჩამკიდე ვიაროთ ერთად..
ჩამოვდგათ მხრიდან ეს საუკუნე.

ნასპერის წვერზე წვანან ნისლები,
მივწვდები ხელით, ცაა ხავერდი,
მე ასეთი ვარ ვერ შევიცვლები,
ლეჩხუმო, შენთან ვარ ალავერდი.



თენგიზ პაპაშვილი

# აღარ დამიტოვე სხვა გზა...

**როგორ** ამერია თავგზა,
სტრიქონს შევალიე წლები,
დღემდე დამატარებ გზა-გზა,
ტრფობის ნაღვერდალზე ვდნები.

ისევ უშენობას ვჩივი,
გულიც მარტოობას ჩემობს,
ბედი ამიმხედრდა იცი?
შარბათს ვერ გავუგე გემო.

ახლა მინავლული წლების,
ტკივილს ვიხსენებ და ვგოდებ,
ისევ უშენობა ზაფრავს,
სულის ძგიდესა და კბოდეს.

უძოს ეპარება ბინდი,
ღამე ყორნისფერი მოდის,
ისევ მარტოობით ვუძლებ,
ლოდინს , უსაშველო ლოდინს.

როგორ ამირიე თავგზა,
ტანზე შემომაცვდა წლები,
აღარ დამიტოვე სხვა გზა,
ლექსად სანთელივით ვდნები...



ზურაბ ქობალია

# როგორც ორ არაგვს

**მიყვარხარ** როგორც ორ არაგვს მტკვარი,
თეთრიც და შავიც მისკენ ილტვიან,
ესე ცხოვრება ისეთი არი
ლამაზი, როგორც შენზე იტყვიან.

ვცდილობ სპეტაკად მოვიდე შენთან,
არ ავიმღვრე და არცა გავირყვნა,
შავიც ვათეთრო და შენთან თეთრად
მარადიული ზარით დავრისხავ.

ახლა ვფიქრობ და ადრეც მქონია
აზრი აქამდე გაუფილტრავი,
შენი სახება ჩემი მგონია,
შენით მოვხატე გულის ფიცარი.

მთელი სამყარო ჩემი მგონია,
ცალკე ვით ვიყო შენი ზიარი,
აქ სიყვარულის კაკაფონია
არის უბრალოდ ადამიანი.

მარად და მუდამ მოვილტვი შენკენ,
როგორც არაგვი ორთავე შლეგი,
შენ იყო თითქოს ის მღვრიე მტკვარი,
ან სხვაგან მბრბოლი მდინარე თერგი.

რომელსაც სულაც ვეღარ მივწვდები,
სხვაგან გიჭირავთ ორთავს სვლაგეზი,
კვლავ საძებარი ის ჩემი ბედი,
საით გამექცა, ვერაფერს ვხვდები.

# მადლიერება



ოჩამჩირეს კავშირი „ერთობა“, ომის მონაწილეები, ვეტერანი ფეხბურთელები, ექიმები, პედაგოგები მადლობას უხდიან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და ფედერაციის ბრეზიდენტს, ბატონ **ლევან კობიაშვილს**, ფედარაციის წევრებს, – **დავით მუჯირს, ალექსანდრე იაშვილს** და სხვებს.

პირველ რიგში მადლობა თქვენ, რომ ჩვენ ვესწრებით ფეხბურთის ლამაზ ზეიმებს, რომელსაც აჩვენებს ჩვენი საქართველოს ნაკრები.

კარგად ვიცით, რამდენი შრომა ჩადო ფეხბურთის ფედერაციამ. შორიდან ყურება კარგია, მაგრამ ამ ლამაზი ფეხბურთის თამაშს უნდა ნიჭი, შრომა, შრომა და შრომა.

მადლობა ფეხბურთელებს, გუნდის ხელმძღვანელობას. ახლა მთავარია, ყველა ფეხბურთელი იყოს ჯანმრთელი.

გილოცავთ ყველას დამდეგ ახალ 2024 წელს.

ოჩამჩირელთა კავშირი „ერთობას“ სახელით,

**თენგიზ ნორაკიძე,**
სპორტის ოსტატი.

# მსჯელობა კანონზე



*სურათზე: (მარცხნიდან) ზურაბ ცუცქირიძე, ნანა კარანაძე და თამარ გოგოლაშვილი.*

**ილიაუნის** განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტთან არსებული იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიკის ეროვნული ინსტიტუტის პედაგოგიური და პედაგოგიური ფსიქოლოგიის კვლევების მიმართულებაზე მომუშავე მეცნიერ მუშაკები მსჯელობენ „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონზე.

*გამოსათხოვარი*

# შთამომავლობას კეთილი სიტყვით გადაეცემა...



## აზა ბუაძე

**ურთულესია** ახლა ამ წერილის დაწერა... საოცრად რთული... უამრავი მოგონების შუაგულში ვარ და გული მტკივა, რადგანაც ქართული პედაგოგიური ელიტის დიდი ბერმუხა მივაბარეთ მშობლიურსა და უსაყვარლეს მიწას, ადამიანურობისა და მოქალაქეობრივი ღირსების ეტალონი, ქალბატონი **აზა ბუაძე.**

შეუძლებელია, ერთსა და იმავე დროს ეს პწკარები მოკლეც იყოს და ამომწურავიც... საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირს წმინდანეთი უნდა ერქვას, აქ ისეთ კორიფეთა სულიერება მეფობს, სწორედ ამ წმინდანეთში, თავისი სიწმინდითა და სიწრფელით ათეულობით წლები იმსახურა პროფესორმა **აზა ბუაძემ**, იგი ყოველგვარი ამბიციების გარეშე პედაგოგთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარის პირველი მოადგილის რანგში ურყევად იდგა.

საოცრად ლამაზი, მეცნიერული, პედაგოგიური და შემოქმედებითი გზა განვლო ქალბატონმა აზამ. მის სახელს დავიწყება არ უწერია, მას ყოველთვის გულთბილად მოიხსენიებენ, რამეთუ ხალხის, საზოგადოების წინაშე პატიოსანი შრომით მოხდილი ვალი არასოდეს იკარგება, იგი ღვივდება, თითოეულის გულში იბუდებს და შთამომავლობას კეთილი სიტყვით გადაეცემა...



## აკაკი ზოიძე

**ბედი,** უღელია ჩვენივე სულისა, ხოლო სული, ჭეშმარიტებისაკენ რომ გეწევა, უღელია ჩვენი ბედისა. ადამიანი ისეთივე ამოუწურავი, აუხსნელი ცნება და სიდიადეა, როგორც თვით ბუნება... თუ დავუშვებთ, რომ იგი მუდამ ორ პოლუსს – ადამიანის მოცემულ რეალურ ყოფასა და ადამიანის შესაძლებელ ყოფას – შორის არის მოქცეული, მაშინ უნდა დავუშვათ აუცილებელი „მესამეც“, ორ პოლუსს შორის მოქცეული „მესამის კონგლომერატი“, რომელიც ადამიანთა ორივე პოლუსის მაკონტროლებელია, ზებუნებაა, სიყვარულის ფენომენია... დიახ, სწორედ ეს ცნება და ფენომენი აკავშირებდა საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარეს, პროფესორ **აკაკი ზოიძეს** საზოგადოებასთან და პირიქით, საზოგადოებას მასთან... საოცარია სამყარო... მსუბუქი ყოფილიყოს ბატონო აკაკი თქვენთვის მშობლიური ბათუმის მიწა...

**საქართველოს იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი**

# ქართული პოეზიის ზეიმი სტამბულში



**მოგესალმებით** ძვირფასო მეგობრებო! შედგა ჩვენს მიერ , „ქართული ენის ცენტრი”ს, მიერ, ორგანიზებული საღამო, რომელიც მოვუწყეთ „საზოგადოება პოეზიელებს”,-ბატონ **გერმანე საზანოელს, ზურაბ ქობალიასა** და **პაპუნა ქვარიანს.** დაუვიწყარი საღამო გვაჩუქეს ჩამობრძანებულმა სტუმრებმაც თავისი დიდებული შემოქმედებით, ასევე დამსწრე საზოგადოებამაც თავისი სიტყვით და ლექსით მოეფერენ სტუმრებს, მოკლედ ბედნიერი ხარ, როცა ყველა კმაყოფილი რჩება შენს მიერ ორგანიზებული საღამოსი, უამრავი სამადლობელი პოსტი დაიდო, საღამოს შესახებ.

„ქართული ენის ცენტრი,” მისი ხელმძღვანელი და დამფუძვნებელი, ბატონი **გოდერძი მახარაძე**. მოადგილე მე, **ეკა სურამელი**, ყველას უდიდეს მადლობას გიხდით ვინც გაგვილამაზეთ ეს საღამო, მოწვეულ სტუმრებს და დამსწრე საზოგადოებას.

უამრავი წარმატება გვინდა გისურვოთ ყველას ერთად.

აქ იყო პატარა საქართველო, მოფერება, სიყვარული, ერთურთის პატივისცემა და პოეზიის ზეიმი... გვიხარიხართ!



მთ. რედაქტორი
ბორის მიშველაძე
555 596 050
აღმასრ. რედაქტორი: ნათია გურგენიძე
593 422 258
გამომცემელი: ა(ა)იპ „პედაგოგთა და მეცნიერ-პედაგოგთა ხელშეწყობისა და დახმარების საქველმოქმედო ფონდი“
ს/ს 402010587
ს/ს თიბისი ბანკი:
GE 94 TB7249236080100007

რედკოლეგია
ზურაბ ქობალია (თავმჯდომარე) 599 343 727;
ნათელა ქიმერიძე 595 584 572; ბორის მიშველაძე 555 596 050;
ეკა მამუკაშვილი 599 944 592; კონსტანტინე გურგენიძე 592 777 181;
ნათია გურგენიძე 593 422 258; მზია გოგოძე 593 208 048; ირმა მებონია 591 320 705; გერმანე საზანოელი 593 022 913;
თამარ ანდრიაძე (კომპიუტერული რედაქტორი) 599 44 98 48;
ელ-ფოსტა: saxgani@gmail.com
ვებგვერდი: saxalxoganatleba.ge
ტელ: (032) 2 99 80 00; (032) 2 98 48 07

სახალხო განათლება+ N8 (4615)
13 დეკემბერი / 2023 წელი
გაზეთი გამოდის 1928 წლიდან
ISSN 1987-9113